




გამოდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რესპუბლიკა

ხუთშაბათი, 27 სექტემბერი. 2018 წ. №190 (8591)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 50 თეთრი.



27 სექტემბერი - სოხუმის დასაბრუნების დღე

ირაკლი გენაღარიშვილი:

ჩვენი სახელმწიფოებრიობა ქართველთა და აფხაზთა ერთობით დაინდობ!

აფხაზეთის 1992-93 წლების ომიდან 25 წელი გავიდა. ეს საკმარისი დროა, რომ მოვლენები გადავფასოთ, შევფასოთ ამ ომში წამყვანი ფიგურების როლი, გამოვიტანოთ დასკვნები. **ირაკლი გენაღარიშვილი**, რომელიც იმხანად საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი გახლდათ, ახლა კი სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელობს, საკუთარი მოგონებები და მოსაზრებები „**რადიო თავისუფლება**ს“ გაუზიარა.

„**ამცენტი**“ ამ ინტერვიუს ქართულ თარგმანს გთავაზობთ:
— იმ მოვლენებიდან 25 წელი გავიდა. დღეის გადმოსახედვად, როგორ ფიქრობთ, გარდაუვალი იყო თუ არა ომი?
— უნდა ვაღიაროთ, რომ ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი დღესაც რთული გასაცემია იმ ტრაგიკული მოვლენების ყველა თვითმხილველისა თუ მონაწილისთვის.
„კონფლიქტის ინსპირაციას თავისი მიზანი ჰქონდა, თუმცა ჯერაც არ გვაქვს საფუძვლიანი პასუხი კითხვაზე, გარდაუვალი იყო თუ არა ეს ომი“

ფოებრიობის დაკარგვად დაგვიჯდა.
მეორე — რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო და, სამწუხაროდ, არ მოხდა: ჩვენ ჯერაც არ გვაქვს ბოლომდე გააზრებული, შესწავლილი, გაანალიზებული ყველა ფაქტი.
ცნობილია მხოლოდ რამდენიმე უტყუარი განზომილება: ეს იყო სეპარატისტული მოძრაობის შედეგი და ინსპირირებული იყო რუსეთის მიერ (სააღმოსავლეთით უკვე უამრავი ფაქტი მოგვეპოვება, რომელიც ამას ადასტურებს); საქართველოს ხელისუფლებამ მაშინ მართლაც დაუშვა საბედისწერო შეცდომა, უპასუხა რა გამოწვევებს ამგვარად და არა სხვაგვარად; კონფლიქტის ინსპირაციას თავისი მიზანი ჰქონდა და ამას სულ უფრო მეტი დოკუმენტი ადასტურებს. თუმცა ჩვენ ჯერ ვერ მივუახლოვდით იმას, რომ საფუძვლიანი პასუხი გავცეთ კითხვას, შესაძლებელი იყო თუ არა ამ ომის თავიდან აცილება.
რა თქმა უნდა, ძირითადი მიზნები რუსეთსა და საქართველოს შორის დაპირისპირება იყო, რაც პოსტსაბჭოთა სივრცის ცვლილების ძალზე რთული პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. აქ ერთმანეთს ორი ინტერესი უპირისპირდებოდა: საქართველოს მცდელობა, XX საუკუნეში მეორედ დაენდოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობა, და რუსეთის მცდელობა, შეენარჩუნებინა საკუთარი იმპერია.
— **აქ საინტერესოა მთავარი მოქმედი პირების, წამყვანი პოლიტიკური ფიგურების როლი. დავინდობთ შევარდნაძით. თქვენ ხელისუფლების საბედისწერო შეცდომა ახსენეთ. კონკრეტული პოლიტიკოსები, ლიდერები გყავდათ მხედველობაში?**

— ცხადია. ქვეყანა მსგავს შეცდომებს კოლექტიურად არ უშვებს. ეს იყო იმ ადამიანების შეცდომა, ვინც იმხანად ხელისუფლებაში იყო და ამ გადაწყვეტილებებს იღებდა, მერე კი მათ რეალიზებას უზრუნველყოფდა.
მაშინ სახელმწიფო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, წესრიგი დაემყარებინა რუსეთ-საქართველოს, სამხრეთ კავკასიის დამაკავშირებელი რკინიგზის აფხაზურ მონაკვეთზე.
— **კიტოვანსა და იოსელიანს გულისხმობთ?**
— დიას, თუმცა ეხლა გამიჭირდება იმის თქმა, რა როლი შეასრულა ამ გადაწყვეტილების მიღებაში ჯაბა იოსელიანმა.
ამ ამოცანის შესრულება ეროვნული გვარდიის ნაწილებს დაეკისრათ და ხელმძღვანელად კიტოვანი დანიშნეს.



იხ. 3 გვ.



დარს უოლ: ნაბოში საქართველოს განუვრება რთული საკითხია

**მინიპალური ხელფასი თუ საათობრივი ანაზღაურება?!
რეალურია თუ არა საქართველოში საათობრივი ხელფასის შემოღება?**

„**რბილი ძალა**“ მომკლავრდა
5 **უფოთი, დაპირისპირება, დაუმორჩილებლობა...**

გურამ თუშიშვილი მსოფლიო ჩემპიონია!



იხ. 10 გვ.

წლის ბოლომდე მთავრობას 4.5 მლრდ ლარი აქვს დასახარჯი




არაბთა გაერთიანებულ საამიროებთან ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო გააქტიურდება

ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო გააქტიურებასა და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და არაბთა გაერთიანებული საამიროების საგარეო საქმეთა და საერთაშორისო თანამშრომლობის მინისტრმა აბდულა ბინ ზაედ ალ ნაჰიანმა შეხვედრაზე, რომელიც გაეროს გენერალური ასამბლეის 73-ე სესიის ფარგლებში გაიმართა.

გიორგი კობახიძე: აზიის განვითარების ბანკი საქართველოში 1.5-მილიარდიანი სინვესტიციური პროგრამის განხორციელებას გეგმავს

ამის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა გიორგი კობახიძემ და აზიის განვითარების ბანკის მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორმა იუმი ელჰან-კაიალარმა გამართულ შეხვედრაზე ისაუბრეს. მინისტრის შეფასებით, შეხვედრა პოზიტიური და სასარგებლო იყო – საუბარი რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხს შეეხო.



ტფელი, „ეს, პრაქტიკულად, ჩვენი ეროვნული პროდუქტის 10%-ს შეადგენს. ბანკი აპირებს ამ პორტფელის გაფართოებას – კერძოდ, ჩვენ ვისაუბრეთ ენერჯეტიკის სფეროში ADB-ის პორტფელის გაფართოების საკითხზე, ასევე საპენსიო რეფორმისა და PPP-ს კანონის დანერგვა-მხარდაჭერაზე“, – განაცხადა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა.

გიორგი კობახიძისა და იუმი ელჰან-კაიალარის შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი თემა იყო აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოში საშუალო და მცირე ბიზნესების მხარდაჭერის კუთხით მუშაობის გააქტიურება. გიორგი კობახიძის ინფორმაციით, ამ მიმართულებით ბანკმა ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამა წარმოადგინა.

კერძო მესაკუთრეები დიღმის ტყე-პარკის ტერიტორიას სამშენებლო მიზნით პირ გამორიცხავენ

როგორც ქალაქის მერმა აღნიშნა, დიღმის ტყე-პარკი წარმოადგენს რეკრეაციულ ზონას, რომელზეც ყოველგვარი მშენებლობა დაუშვებელია.



მისი თქმით, დედაქალაქის მერია გამოიყენებს ყველა სამართლებრივ ბერკეტს იმისთვის, რომ აღნიშნული მიწის ნაკვეთები ქალაქს დაუბრუნდეს და მომავალში იქ საუკეთესო დასახელებული სივრცე მოეწყოს.

„დიღმის ტყე-პარკს თბილისისთვის სასიცოცხლო დატვირთვა აქვს. სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ პარკში არსებული ტერიტორიების დიდი ნაწილი კერძო საკუთრებაშია. ტყე-პარკში, დაახლოებით, 47 მიწის ნაკვეთია გასხვინებული. ეს არის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა და მინდა აქედანვე გავაფრთხილო ყველა, რომ იქ რაიმე სახის მშენებლობა წარმოუდგენელია. ერთადერთი მხარე, ვინც დაინტერესებულია, რომ ეს ადგილები დაიბრუნოს, გამომიყიდოს და ადგილობრივად გააკეთოს, დედაქალაქის მერიაა“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

კობახიძე კანაუის მოყვანა-წარმოების მომხრე ყოფილა

პარლამენტის თავმჯდომარის ირაკლი კობახიძის განცხადებით, კანაუის დაკავშირებული ინიციატივის სარგებელი არის ის, რომ ექსპორტი მილიარდი დოლარით გაიზარდება.

როგორც „ტვ პირველის“ გადაცემა „რეაქციაში“ კობახიძემ აღნიშნა, „კანაუის კონტროლის შესახებ“ კანონპროექტი პარლამენტიდან რომ გაიწვიოს, გამოვა, რომ რალაც ცუდს აკეთებდნენ. მისივე თქმით, მთავრობას სურს, ამ თემაზე საზოგადოებასა და ეკლესიას ისაუბროს.

„მნიშვნელოვანია საზოგადოებამ იცოდეს, რომ წარკოტიკებს არ ვანარჩობთ და ამის გადინების საფრთხე არ არსებობს. რაც შეეხება ეფექტს, ძალიან წარმატებული ეკონომიკის პირობებშიც, სიღარიბის აღმოფხვრას რვა-ათი წელი სჭირდება. ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რომ თუკი რაიმე იმის საშუალებას იძლევა, რომ ათი წლის მაგივრად, ეს რვა-შვიდ წელიწადში გავაკეთოთ, რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს საშუალება, იმ პირობებში, როცა საზოგადოებას ზიანაც არ ადგება?!“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

სანჯაპს აქციონის შემსრულებლის გარდა პირაფერი გააიფხვს!

სანჯაპსში აქციონის დასრულების შემდეგ, პროდუქტებზე და გაზზე აქციონის განაკვეთის განახლებების შესახებ საგადასახადო კოდექსში ცვლილებების პროექტი მოამზადა, რომელიც ვრცელდება როგორც საქართველოში მოპოვებულ, ისე იმპორტირებულ სანჯაპსსა და გაზზე. საქმე ისაა, რომ სანჯაპის ფასი ჩვენში ისტორიულ მაქსიმუმზეა და ამაში თავისი წვლილი სწორედ აქციონის გადასახადის უცაბედად ზრდას მიუძღვის. ამჟამინდელი უზარმაზარი ფასი კი ინფლაციის მაპროვოცირებელი და ეკონომიკური ზრდის შემფხვრებელიც კი გახდა.

დეკლარაციის შურაბ ქობახიძის აზრით, აქციონის გადასახადის შემცირება არამარტო თავად ამ პროდუქტებს, არამედ იმ პროდუქტებსაც გააიფხვებს, რაშიც გაზი და ნავთობპროდუქტები გამოიყენება. „უნდა განახვირდეს აქციონური გადასახადი ნავთობპროდუქტებზე და სანჯაპსზე, რაც დაახლოებით 312 მილიონი ლარის დატოვებას გამოიწვევს აღნიშნულ სექტორში და შესაბამისად გა-

მოიწვევს სანჯაპის ფასის შემცირებას, რომელიც ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზარდა“, – აცხადებს „ევროპული საქართველო“ ...

პარალელურად ნავთობიმპორტიორები ასევე მუშაობენ მოდელზე, თუ როგორ შეიძლება შემცირდეს აქციონის განაკვეთი, რომელმაც გასული წლის ცვლილებების შემდეგ 20-25 თეთრით გააძვირა ქსელში სანჯაპი. „ვისოლის“ გენერალური დირექტორი ვასილ ხორავა აცხადებს, რომ ერთ-ერთი მოდელი აქციონის ვალუტის კურსზე მიბმება, რა მოდელსაც ისინი მთავრობას სთავაზობენ.

„მსგავსი ტიპის ქვეყნებში, სადაც სდება ნავთობპროდუქტების იმპორტი და აქციონი არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გადასახადი, გვაქვს პრაქტიკა და ვსწავლობთ მაგალითებს ჩვენი მეზობელი ქვეყნებისა, სადაც შესაძლებელია ეს პრაქტიკა იქნას გამოყენებული. როცა გაცვლითი კურსი იმატებს, ან იგივე ნავთობის საერთაშორისო ფასი იმატებს, გარკვეულ

პროპორციაში უნდა სდებოდეს აქციონის შემცირება, რომ საბოლოო ჯამში მომხმარებელმა მიიღოს სტაბილური ფასი და იმ დროს, როცა საერთაშორისო ფასი ან გაცვლითი კურსი „ფუჭდება“, აქციონმა აიღოს დატვირთვა და შემცირდეს. მივიღებთ იმას, რომ მომხმარებელი ვერ იგრძნობს გაზრდილ ფასს და 20-25-თეთრიან კომპენსაციას გააკეთებს. 20-25 თეთრის ფარგლებში არსებობს რეზერვი, რომ შესაბამისი აქციონით მოხდეს შემდგომი გაძვირების კომპენსირება“, – აცხადებს „ბიემთან“ ხორავა. უნდა აღინიშნოს, რომ ასე სულაც არ ფიქრობს ზოგიერთი სხვა სპეციალისტი. ავბას ვიცე-პრეზიდენტი პაატა ბაირახტარი მიიჩნევს, რომ აქციონის განახლებას ერთჯერადი ეფექტი ექნება.

„აქტიურად მუშაობს მოსაზრება, რომ სანჯაპის ფასის კოლოსალური ზრდა გამოიწვიოთ აქციონის გადასახადის გაზრდამ, რომელიც გამოიწვევს ინფლაციის შევიდა ძალაში. ცხადია, აქციონის განაკვეთმა წამდვილად მოახდინა გავლენა სანჯაპის ფასზე,

მაგრამ ეს ზრდა არ აღემატებოდა ლიტრზე 15%-ს. რაც შეეხება აქციონის განაკვეთის შემცირებას და ამ მექანიზმით სანჯაპზე ფასების დაწვევას, აღნიშნული მექანიზმის გამოყენებას ჩვენს რეალობაში ვერ ექნება გრძელვადიანი და მუდმივმოქმედი შედეგი, რამდენადაც ოლიგოპოლიურ და კარტელურ ბაზარზე გადასახადების, ამა თუ იმ ფორმით, შემცირებას მოსახლეობაზე და პროდუქტის ფასზე, აქვს მიზერული შედეგი. აქციონის განაკვეთის შემცირების შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ სანჯაპზე ფასების ერთჯერად შემცირებას. ამის შემდეგ ეს თანხა, ისევ კომპანიების ანგარიშებზე წავა და სანჯაპის ფასზე ამ უკანასკნელს რეალური შედეგი ვერ ექნება“, – აღნიშნავს ბაირახტარი.


ნავთობკომპანიები ინიციატივის გაცნობას პრემიერ-მინისტრთან გეგმვენ და ეს შეხვედრა შეიძლება მიმდინარე კვირაშიც ჩაინიშნოს. გაიზარებს თუ არა მთავრობა ბიზნესის შეთავაზებას, უცნობია.

ირაკლი მენაღარიშვილი: ჩვენი სახელმწიფოებრიობა ქართველთა და აფხაზთა ერთობით დაინყო!

(პირველი გვერდიდან) ალბათ, პრინციპულად არასწორი იყო მსგავსი ძალისმიერი ოპერაციის ჩატარება, მით უფრო - ყოველგვარი იმ მომზადების გარეშე, რომელიც გართულებებს გამოირიცხავდა.

ისიც კი არ იქნა დაცული, რაც, როგორც მოწმეები ამბობენ, წინასწარ ითქვა: ყველაფერი უნდა გაკეთებულიყო საიმისოდ, რომ სამხედროები დასახლებულ პუნქტებში არ გამოჩენილიყვნენ დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად.

რეალურად კი, ეროვნულმა გვარდიამ დასახლებული პუნქტების აღება დაინყო



და მას წინააღმდეგობა გაუწიეს - როგორც შემდგომში გახდა ცნობილი, კონფრონტაციისთვის წინასწარ მომზადებულმა უკანონო აფხაზურმა შეიარაღებულმა ქვედანაყოფებმა.

გაირკვა ისიც, რომ მსგავსი კონფლიქტისთვის დიდი ხნით ადრე ემზადებოდა ჩრდილოეთკავკასიური მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ძალიან სწრაფად ჩაერთო ამ კონფლიქტში. მეტიც, შექმნილი იყო სპეციალური სტრუქტურა - კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაცია შანიბოვის ხელმძღვანელობით. იგი კავკასიური მოძრაობის წამყვან სტრუქტურად მოიაზრებოდა, თუმცა ძალიან მალე ცნობილი გახდა, რომ რუსული სპეცსამსახურების მიერ კონტროლდებოდა.

ამგვარად, ძალიან სწრაფად მოხილბუნდნენ ძალები, რომლებსაც საქართველოსთვის წინააღმდეგობა უნდა გაენიათ. შემდგომ ეტაპზე კი უკვე ღიად ჩაერთვნენ რუსეთის სამხედრო ძალები ავიაციის და სხვა საშუალებების გამოყენებით ამ სისხლიან კონფლიქტში, რომლის შედეგად, განვმეორდები, სახელმწიფოებრიობის პრაქტიკულ კოლაფსად იქცა - ასე იყო 1993 წლის შემოდგომაზე. და მთელი ამ დროის განმავლობაში საქართველომ კინაღამ დაკარგა დამოუკიდებლობა.

- რას იტყვით შევარდნაძის, ელცინის, ზოგადად რუსეთის როლზე?

- რა შეიძლება, ითქვას შევარდნაძეზე? ამ პირველი, საბედისწერო ნაბიჯის შემდეგ მან ყველაფერი გააკეთა სიტუაციის გამოსასწორებლად, თუმცა ამის განხორციელება უკვე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო.

საკუთარი სიტყვებითაც კი ბარისკა, - მხედველობაში მამკის ის მომენტი, როცა კინაღამ ჩამოაგდეს მისი პარტიაფრანკი, რამდენჯერმე დაზოგავს მისი ყოფნის ადგილები, გვიჩვენებს რომ ბადახან თავს მას და მის დაცვას...

თუმცა, სამწუხაროდ, მისმა თავბანდირულმა ძალისხმევამ შედეგი ვერ გამოიღო, რადგან რუსეთმა სანაღვლე მიაღწია - ქართველებსა და აფხაზებს შორის სის-

ხლი დაიღვრა, მოსკოვმა კი მსგავსი სიტუაციაში მისთვის ჩვეული პოზიცია დაიკავა.

სამომავლოდ კრემლი კიდევ არაერთგზის მიმართავს ამ ხერხს და დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი მტკიცებულება გაჩნდება იმის, რომ ეს ყველაფერი რუსეთის სტრატეგიის კარგად გააზრებული და დაგეგმილი ნაწილი იყო. ამავე სცენარით განვითარდა მოვლენები დნესტრისპირეთში, ახლა - უკრაინაში.

რაც შეეხება ბატონ ელცინს - რუსეთის იმჟამინდელ მმართველს, თითქოს შემთხვევითი არაა, რომ ამ დღეებში გამოქვეყნდა აშშ-ის იმჟამინდელ პრეზიდენტ ბილ კლინტონთან მისი საუბრების ჩანაწერები, რომლებიც არაერთ კითხვას სცემს პასუხს და ამსხვრევს ილუზიებს ამ „რუსული დემოკრატიის მშენებლის“ ირგლივ.

პრეზიდენტი ელცინი ისეთივე იმპერიალისტი იყო, როგორიც დანარჩენები მის გარემოცვაში.

მისი მთავარი მიზანი იყო, ეძლეებინა საქართველო, მის მი-



ერვე ინიცირებულ პროექტში „დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა“ (დსთ) ინტეგრირებულიყო. ეს თანამეგობრობა განიხილებოდა სტრუქტურად, რომელსაც სსრკ უნდა ჩაენაცვლებინა. თანამეგობრობა სხვა მიზეზებით ვერ შედგა, თუმცა მოგვიანებით მის ნაცვლად სხვა პროექტი შემუშავდა - ევრაზიის ეკონომიკური კავშირი. და ამ პროექტების ავტორები ერთი და იგივე ხალხია რუსეთში.

- და რა როლი შეასრულა ვლადისლავ არჩინბამ?

- მის შემთხვევაში ბევრი უდავო რამის თქმა შეგვიძლია, ვიცით რა, როგორ განვითარდა მოვლენები.

საბრძოლო მოქმედებების განმავლობაში ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა რამდენჯერმე მიაღწიეს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას - დანებებული 1992 წლის აგვისტოს შეთანხმებით, რომელიც გაგრის პლაცდარმის დაკარგვით დასრულდა, დამთავრებული 1993 წლის ივლისის ბოლო შეთანხმებით. ყველა შეთანხმება დაირღვა და ყველაფერი დასრულდა სოხუმის დაცემითა და ქართული მოსახლეობის განდევნით.

ბატონი არჩინბასა და სეპარატისტული ხელმძღვანელობის როლი და ფუნქცია ამ საქმეში ნათელია. თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი იქ არაფერს წყვეტდნენ. ყველა გადაწყვეტილება მიიღებოდა მოსკოვში - დღეს ეს უკვე კარგად არის ცნობილი. ისინი უბრალოდ ამ გა-

დან ყვეტილებს მიჰყვებოდნენ, რასაც დღესაც აკეთებს სეპარატისტული ხელი-სუფლება, მაგრამ უკვე ღიად ოკუპირებულ ტერიტორიებზე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ყოფილ ავტონომიურ ოლქში.

- ჩვენ ვახსენებთ კიტოვანს, რომელიც აშუამდ მოსკოვში ცხოვრობს, არჩინბა, ელცინი, შევარდნაძე - მიაღწიეს მათ თავის მიზნებს? რა ამოდრავებდათ ადამიანებს, რომლებიც მაშინ გადაწყვეტილებებს იღებდნენ, ძირითად ფიგურებს, რომლებიც ყველას აღემდებ ახსოვს?

- დიას, ყველამ თავისას მიაღწია, რა თქმა უნდა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონმა შევარდნაძემ თავისი პოლიტიკური კარიერა გადადგომით დაასრულა, მან მიზანს მიაღწია - საქართველო შედგა, როგორც სახელმწიფო. ამ საქმეში მისი როლის იგნორირება უსამართლობა და დიდი ტყუილი იქნებოდა.

რაც შეეხება ბატონ კიტოვანს, არ ვიცი, როგორ ცოცხლობს, როგორ გრძნობს თავს, - შესაძლოა, კარგად და კომფორტულად, თუმცა ვიცი, რომ ასე ასრულებს სიცოცხლეს ყოველი, ვინც სამშობლოს მტერს მიეყიდება.

რაც შეეხება ბატონ არჩინბას, ეჭვი არ მეპარება, რომ მას გულწრფელად სურდა აფხაზი ხალხისთვის სიკეთე, თუმცა, ჩემი აზრით, საბედისწერო შეცდომა დაუშვა, დაუკავშირა რა აფხაზი ხალხის მომავალი რუსეთის სახელმწიფო ინტერესებს. ხომ ცხადია, რაც იქ ხდება და მე ვითარების გაუმჯობესების პერსპექტივას ვერ ვხედავ; თუ აფხაზი ხალხი, მოსახლეობა რამენაირად არ განთავისუფლდება ილუზიისგან, რომ რუსეთი, „განმათავისუფლებელია“. უკვე ვთქვი, რომ არჩინბა ტრაგიკული ფიგურაა.

ისტორიას დროთა განმავლობაში ყველა და ყველაფრის თავის ადგილებზე დაყენება ახასიათებს - ადამიანების, მათი ქმედებების, პროცესების. სამწუხაროდ, ქართულ სახელმწიფოს ჯერაც არა აქვს შესრულებული აფხაზეთის მოვლენების შეფასების მისია და ეჭვი მეპარება, ახლა უკვე ეს მისია ვინმე შესრულდეს.

თუმცა არის ის, რისი გაკეთებაც შეუძლებელია: ესაა იმ მოვლენების უშუალო მონაწილეებისა და თვითმხილველებისგან რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის შეგროვება-შენახვა, რათა თუნდაც მომავალ თაობებს მივცეთ შესაძლებლობა, ობიექტურად იმსჯელონ ამ პროცესებზე.

- როგორ გესახებათ კონფლიქტის მომავალი?

- მე გამოუსწორებელი ოპტიმისტი ვარ, ყველაზე მძიმე მომენტებშიც კი, რომელიც



მრავლად მქონია როგორც სამსახურში, ისე პირად ცხოვრებაში, არასოდეს ჩამომიშვია ხელები და მითქვამს, „მორჩა, ხელი უნდა ჩავიქნო“.

ეს თვისება და ის უამრავი „სიმპტომი“, რომელსაც ირგვლივ ვამჩნევ, მაქვს მყარ საფუძველს, დარწმუნებით ვითქვამ: არც ერთ წუთს არ მიაპარებავ იმეტი, რომ საქართველო ტერიტორიული მთლიანობა ალდგება და ქართველი და აფხაზი ხალხები იპოვიან საერთო ენას.

გოლოს და გოლოს, არ უნდა დაგვაპირწყდეს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა სწორედ ქართველთა და აფხაზების ერთობით დაინახო და სწორედ ამის სიმბოლოდ აღიარეთა თავის დროზე გაბარების ტაპარი.

საბაპო მნიშვნელობის ქართველოლოგიური ფორუმი

რომორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში 2018 წლის 27 სექტემბერს, საზეიმოდ გაიხსნება რიგით მეორე საერთაშორისო ქართველოლოგიური კონგრესი, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნება.

სხდომები გაიმართება საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კონგრესის მიზანია ქართველი და უცხოელი ქართველოლოგების კვლევითი საქმიანობის კოორდინაცია, წინა კონგრესის შემდგომ განვლილი პერიოდის მიღწევების წარმოჩენა და სამომავლო ამოცანების დასახვა. კონგრესზე ფართოდაა წარმოდგენილი ქართველოლოგიის ყველა ძირითადი მიმართულება (ქართული ენა, ლიტერატურა, საქრთველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ქართული ხელოვნების ისტორია), რაც თავისთავად მეტყველებს მის საერთაშორისო მნიშვნელობაზე.

ამასვე მოწმობს კონგრესის წარმომადგენლობითი სასიათი, სადაც ქართველ კოლეგებთან ერთად მოხსენებით წარსდგებიან აშშ-ის (მასაჩუსეტსი), დიდი ბრიტანეთის (ლონდონი), გერმანიის (ბერლინი), საფრანგეთის (პარიზი), იტალიის (ვენეცია), შვედეთის (მალმო), სლოვაკეთის (ბანსკა-ბისტრიცა), რუსეთის ფედერაციის (მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, სოჩი, დონის როსტოვი, გროზნო, მაგასი), იაპონიის (ტოკიო), ისრაელის (იერუსალიმი), აზერბაიჯანის (ბაქო) წამყვანი სამეცნიერო დაწესებულებების სახელმწიფოები სწავლულები. ეს ფორუმი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის მეტნაკლებად სრულ წარმოდგენას იძლევა სამამულო და საზღვარგარეთული ქართველოლოგიის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

კონგრესის სამუშაო პროგრამისა და მოხსენებების შესახებ დანვრითი ინფორმაცია განთავსებულია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიის ვებგვერდზე: www.science.org.ge

მისამართი: რუსთაველის გამზ. 52; მე-5 სართულის სხდომათა დარბაზი.

ივანიშვილს „იპარის“ სამეფო ლონდონში დაკითხვაზე დაიბარებენ?

დაიბარებენ თუ არა ლონდონში დიმიტრი ქუშიშვილს, ბიძინა ივანიშვილს და სკანდალური ჩანაწერების სხვა ფიგურანტებს - „ომეგა ჯგუფის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ ბრიტანული კომპანია „ფილდფიშერი“ სამართლებრივ პროცედურებს დიდ ბრიტანეთში იწყებს.

„სარჩილები შემუშავდება გიორგი გახარიას, ლევან ყიფიანის, ნოდარ საღურის, ანზორ ჩუბინიძის, დიმიტრი ქუშიშვილის და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ. მე ვნახე გარკვეული მტკიცებულებები, რომელსაც წარუდგენ სასამართლოს. დეტალებზე თქვენთან ვერ ვისაუბრებ, თუმცა ვიტყვი, რომ საკმარისი საბიუჯეტო გვაქვს იმისთვის, რომ დავინყოთ პროცესები, როგორც ინგლისში ასევე საქართველოში“ - განაცხადა „ფილდფიშერის“ იურისტმა ტელეკომპანია „იბერის“ ეთერში.

ენერგოპროექტის მომქალაქობას რუსულ კალაშს აბრალავენ


სუდონპის პროექტს პერსპექტივა აღარ აქვს, მოსახლეობის საპროტესტო ტალღას კი პრორუსული ძალები მართავენ. ასეთია ენერგეტიკოსების ნაწილის შეფასება მიმდინარე მოვლენებისადმი, რაც ენერგოსექტორში ამჟამად. საქმეს ართულებს ისიც, რომ უახლოეს მომავალში არაფერი შეიცვლება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ენერგეტიკოსი რევაზ არველაძე მიიჩნევს, რომ საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების წინააღმდეგ მოსახლეობის საპროტესტო განწყობებს რუსული ძალები მართავენ. ამას ერთხელ უკვე შეენირა ხუდონპის პროექტი და ახლა იგივე მეორდება.

„აუცილებელია მოსახლეობასთან კომუნიკაცია, რადგან მე ასე მიმაჩნია, რომ ეს არის რუსეთიდან მართული პროცესი, ისევე როგორც ეს 80-იან წლებში იყო, როცა „ხუდონპის“ მშენებლობა შეაჩერეს. მაშინ ძალიან კარგად იცოდა საბჭოთა კავშირის უშიშროების სამსახურმა, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და ყველაფერს ცდილობდა, რომ რესპუბლიკები, რომლებიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გამოვიდოდნენ, ენერგეტიკულად რუსეთზე ყოფილიყვნენ დამოკიდებული“, – განაცხადა დეპუტატმა და დასძინა, რომ დღეს საქართველოს „ხუდონპის“ რომ ჰქონოდა, ელექტროენერჯის იმპორტი საჭირო აღარ იქნებოდა.

ამ პირობებში, როცა ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილი ჰესების მშენებლობას ეწინააღმდეგება, დეპუტატი „ხუდონპის“ პროექტის განხორციელების შესაძლებლობას ვეღარ ხედავს.

„მე ვეღარ ვხედავ პერსპექტივას. ხომ უყურებთ, ამას წინათაც გამოვიდა მოსახლეობა და დაიფიცეს, რომ საერთოდ აღარ აშენდება სვანეთში არანაირი ჰესები, არადა ენერგეტიკულად ყველაზე



მძლავრი მდინარე არის ენგური. ასევეა რიონი და რაჭაშიც დიდი საპროტესტო ამბები“, – განაცხადა რევაზ არველაძემ. სულ სხვაგვარად ფიქრობენ არასამთავრობო ორგანიზაცია „მეწანე ალტერნატივაში“. მათი წარმომადგენელი დათო ჭიბაშვილი ამბობს, რომ ინვესტორი მუდმივად არღვევს ხელშეკრულების პირობას, რის გამოც პროექტი არათუ უნდა გაგრძელდეს, არამედ შესაჩერებელია. „ხუდონპის“ მშენებელმა კომპანია „ტრანსელექტრიკა ჯორჯია“ ვერ შეძლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

„არ ვიცი, რა პროცესი მიდის, გარდა იმისა, რომ ხელშეკრულება ჯერ კიდევ აქტიურია და საკუთრების უფლებას კვლავ „ტრანსელექტრიკა ჯორჯია“ ფლობს. გარდა იმისა, რომ ამ კომპანიას არც კი დაუწყია მშენებლობა, მუდმივად ირღვევა ხელშეკრულების პირობები მიმდინარე პერიოდშიც კი.

ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ წყდება ხელშეკრულება, რის გაგრძელებაზეა საუბარი მთავრობის მხრიდან, როცა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. მთავრობა „ხუდონპის“ მშენებლობას მაქსიმალურად უწყობდა ხელს, მაგრამ ინვესტორმა ერთი ნაბიჯითაც ვერ წაინაწინა. ამ შემთხვევაში მოსახლეობის პროტესტი არაფერ შუაშია, კომპანიამ საჭირო დოკუმენტაციას თავი ვერც კი მოუყარა. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციები, რაც ვერ ან არ გაითვალისწინეს. ფაქტია, რომ ამ შენიშვნების საპასუხოდ დოკუმენტი, რომელიც ექსპერტების რეკომენდაციებს პასუხს გასცემდა, არ დადებულა. 2013 წლის შემდეგ პროექტი, პრაქტიკულად, შეწყვეტილია. ამიტომაც ჩემთვის მოულოდნელია

ენერგეტიკოსების შეფასება“, – აღნიშნა ჭიბაშვილმა.

გაურკვევლობაში თავად „ხუდონპის“ ინვესტორი კომპანია „ტრანსელექტრიკას“ ტექნიკური დირექტორის დავით მირცხულავას ინფორმაციით, მთავრობამ „ხუდონპის“ ფინანსურ მოდელს გადახედა, თუმცა რა არის ამ პროცესის შედეგი, უცნობია.

„დღეს ისევ „ტრანსელექტრიკა“ ამ პროექტისა და ყველა იმ სამუშაოს მფლობელი, რაც ამ წლების განმავლობაში ჩატარდა – დაწყებული გეოლოგიური, სეისმური, თუ გარემოს დაცვითი საკითხების შესწავლებით“, – განუცხადა „ბიზნეს მედიას“ დავით მირცხულავამ და აღნიშნა, რომ პროექტზე ამ და სხვა სახის სამუშაოები 2016 წლის ბოლოდან შეჩერდა.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, რაც „ხუდონპისა“ და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წინააღმდეგ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის პროტესტს უკავშირდება, დავით მირცხულავა მიიჩნევს, რომ მთავრობამ ამ განწყობების საფუძველი დეტალურად უნდა შეისწავლოს.

„ჩვენი ძირითადი რესურსი ჰიდრორესურსია და ეს დარგი ფაქტობრივად, მთლიანად პარალიზებულია. ჩვენი ენერგოუსაფრთხოებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ჰიდრორესურსის ათვისება. რეალურად, დღეს ტემპი ძალიან დაბალია. ფაქტობრივად, არც ერთი მნიშვნელოვანი სადგური დღეს ქვეყანაში არ მშენდება. აქ მხოლოდ დიდ ჰესებზე არ არის საუბარი. მცირე ჰესებზეც ჩვენთან, განურჩევლად, ერთი და იგივე შეფასება ისმის, რომ მოსახლეობა და გარკვეული ძალები ეწინააღმდეგებიან“, – აღნიშნა მირცხულავამ.

ბექა დარსალია

მინიმალური ხელფასი თუ საათობრივი ანაზღაურება?

რეალურია თუ არა საქართველოში საათობრივი ხელფასის შემოღება?

საპარლამენტო საათობრივი ანაზღაურებას ითხოვენ. ასეთი პრაქტიკა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია და საკმაოდ წარმატებითაც მუშაობს. ქართველ სპეციალისტებს მაინც, ჩვენ ამ მიმართულებით უნდა ვიაროთ, მაგრამ ამ ეტაპზე უმჯობესია მინიმალური ხელფასის ზღვარის განსაზღვრა, რომელიც ქვეყანაში ვერა და ვერ დადგინდა.

ახალი საკანონმდებლო წინადადებების ავტორი მოქალაქე მაცა მინდიაშვილია. ის „შრომის კოდექსში“ გარკვეულ ჩანაწერებს გულისხმობს, მათ შორის, ღამის ცვლაში 22.00 საათის შემდეგ ანაზღაურების გაორმაგებას, ამასთან, ნებისმიერი სამსახურის საათობრივი ანგარიშსწორებაზე გადასვლას. ახალი ინიციატივით, ხელფასი საათში მინიმუმ 5 ლარი უნდა იყოს, თანაც – მზარდი: შრომის, პასუხისმგებლობისა და დამსახურების მიხედვით. ამასთან, დამსაქმებელს უნდა დაეკისროს ჯანმრთელობის სრული დაზღვევის ვალდებულების აღება იმ დასაქმებულზე, რომელიც სამსახურში უკვე 1 წლიანი კონტრაქტით არის მიღებული.

როგორც საკანონმდებლო წინადადებაშია აღნიშნული, კერძო სექტორში დამსაქმებლები თვითნებურად მოქმედებენ და არსებულ შრომის კოდექსს თავის სასარგებლოდ იყენებენ. ამასთან, ქვეყანაში უნდა შეიქმნას მონიტორინგის სამსახური, რომელიც მთელ საქართველოში გააკონტროლებს

შრომის კოდექსის სრულყოფილ მუშაობას.

რამდენად შესაძლებელია საათობრივი ანაზღაურების სისტემის დამკვიდრება, ეს ცოტა ძნელი სათქმელია. „სოლიდარობის ქსელის“ დამოუკიდებელი პროფკავშირის თავმჯდომარე სოფო ჯაფარიძე მიიჩნევს, რომ ინიციატივაში აჯობებდა, მინიმალური ხელფასის დაფიქსირების მოთხოვნა ყოფილიყო, რაც მინიმუმ 400-500 ლარს უნდა შეადგენდეს. ეს საკანონმდებლო პროექტი კი დამსაქმებელს უტოვებს შესაძლებლობას, ისე დაეყოს სამუშაო საათები, მაინც არ გადაუხადოს იმაზე მეტი, რასაც ახლა ისდიან. მერწმუნეთ, ბიზნესი ასეთ გზას იპოვის, – აცხადებს ჯაფარიძე.

რამდენი ხნის წინათ ევროკავშირის სტატისტიკურმა სამსახურმა მინიმალური თვიური ხელფასის მონაცემები გამოაქვეყნა, საიდანაც ჩანს, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებში



ამ კუთხით დიდი განსხვავებაა.

ყველაზე მაღალი მინიმალური ხელფასი თვეში ფიქსირდება ლუქსემბურგში – 1999 ევრო, მეორე ადგილზეა ირლანდია – 1614 ევრო; მინიმალური ხელფასი მაღალია პოლანდიაში – 1578 ევრო, ასევე, გერმანია და საფრანგეთში – 1498 ევრო.

„მინიმალური ხელფასის“ ცნება ევროკავშირის 28 წევრი ქვეყნიდან ექვსში საერთოდ არ არსებობს. საბერძნეთი ამ ქვეყნების სიაში 684 ევროთი მე-11 ადგილს იკავებს. დაახლოებით ამდენივეა თვიური მინიმალური ხელფასი პორტუგალიაში, ესპანეთსა და მალტაში. ყველაზე დაბალი მინიმალური ხელფასი ბულგარეთშია – 261 ევრო.

მინიმალური ხელფასი კანონმდებლობით განსაზღვრული არ არის კვიპროსში, იტალიაში, დანიაში, შვედეთში, ავსტრიაში და ფინეთში. ამ ქვეყნების რიგშია საქართველოც.

„სოლიდარობის ქსელის“ თავმჯდომარე იმ ცვლილებებზე საუბრობს, რომელიც ზოგადად აუცილებელია ნორმალური შრომითი გარემოს შესაქმნელად.

„კანონმდებლობა ძალიან ბუნდოვანია. მაგალითისთვის ზეგანაკვეთურ შრომაზე წერია „ოდნავ მეტი“, რაც საერთოდ გაუგებარია, რას გულისხმობს. კვირაში, წესით, სამუშაო საათების ოდენობა 40-ია, თუმცა თითქმის ყველა მუშაობს 48 საათს, ანუ დამსაქმებულთა უმეტესობა დამსაქმებელს კვირაში 8 საათს ჩუქნის. უდიდესი პრობლემაა მომსახურების სექტორში, სადაც ნებისმიერ დანაკლისს დასაქმებული ანაზღაურებს და ამის გამო კონსულტანტები ისედაც მცირე ხელფასის ნახევარსაც კი ვერ იღებენ ხოლმე“, – აცხადებს სოფო ჯაფარიძე.

ბექა დანელია



ქალაქის ინფრასტრუქტურა, უპასუხისმგებლო კომპანიები და აღუფრთხილებელი მერი

თბილისის მერმა კახა კალაძემ მერის მოადგილეს ირაკლი ბენდელიანს დაავალა, იმ კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართოს, რომელიც ჩუღურეთის რაიონში, უზნაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს ახორციელებს. როგორც მან დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, უზნაძის ქუჩაზე საგზაო სამუშაოები პირველი აგვისტოდან შეჩერებულია, რაც კატეგორიულად მიუღებელია.

„ქალაქში ძალიან ბევრ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტს ვახორციელებთ. ჩუღურეთის რაიონში, უზნაძის ქუჩა უკვე პირველი აგვისტოდან გადათხრილი და მიტოვებულია. ეს ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ასეთი კომპანიები ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში საერთოდ არ უნდა მონაწილეობდნენ. მინდა, ირაკლი ბენდელიანს დაევალო, აღნიშნული კომპანიის წარმომადგენლები დაიბაროს და შესაბამისი პასუხი მოეთხოვოს, რადგან ეს დამოკიდებულება თითოეული ჩვენგანისთვის მიუღებელია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, სამუშაოების შეჩერების გამო, აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებლებს და საჯარო სკოლის მოსწავლეებს გადაადგილების პრობლემა ექმნება. კახა კალაძე ასევე, კახეთის გზატკეცილზე მიმდინარე სამუშაოების დროს, ინტერნეტის ქსელის დაზიანების ფაქტსაც გამოეხმაურა და მინისტრმა კომუნიკაციების რუკის შედგენის ინიციატივით გამოვიდა.

„კახეთის გზატკეცილზე მიმდინარე სამუშაოების დროს, შეიქმნა პრობლემა – დაზიანეს ინტერნეტის ხაზი და ნახევარი დღის განმავლობაში, სახელმწიფო უწყებებს ინტერნეტი არ მიეწოდებოდა. ესეც კატეგორიულად მიუღებელია, რადგან არ არსებობს მინისტრმა თბილისის არანაირი გეგმა. საჭიროა, დაიბაროთ ყველა ის კომპანია, ვისაც მინისტრმა კომუნიკაციები აქვს, რათა გაკეთდეს მინისტრმა ქსელების რუკა და კონტრაქტორმა, ვინც ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე მუშაობს, იცოდეს, თუ როგორ წარმართოს ეს სამუშაოები. ამ გეგმის არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საქმეს ყველას გაუადვილებს“, – აღნიშნა კახა კალაძემ.



უფოთი, დაპირისპირება, დაუმორჩილებლობა...

ხელისუფლებამ „ნაციონალურ მოძრაობას“ ამხელს სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიის ხელშეშლასა და პროვოკაციების მოწოდებაში. დედაქალაქის მერი კახა კალაძე საზოგადოებას მოუწოდებს, „ნაციონალური მოძრაობა“ წარსულში დატოვოს, როგორც გადმონაშთი, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე აცხადებს, რომ ამ ყველაფრის შესახებ საქმის კურსში ჩააყენა დიპლომატიური კორპუსი.

მმართველ ძალას აღარ აწყობს „ნაციონალური მოძრაობა“ როგორც მთავარი ოპონენტი, ფრთხილობს იმის გამო, რომ მისმა აქტიურობამ შესაძლოა, სერიოზული პრობლემა შეუქმნას მის მიერ მხარდაჭერილ სალომე ზურაბიშვილს, თუ მთავარი ოპოზიციური ძალისგან კიდევ უფრო მასშტაბურ პროვოკაციას ელოდება? – მიმდინარე პოლიტიკურ პროცესზე ექსპერტი სოსო ცისკარიშვილი გვესაუბრება.

სოსო ცისკარიშვილი: ვფიქრობ, სალომე ზურაბიშვილმა ნეიტრალურობა დაკარგა, რაკი „ქართული ოცნება“ მისი „შემქმნელი“ იხივს. ისიც არ მგონია, საქართველოში აკრედიტებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია აინტერესებდეთ საარჩევნო კამპანიის შესახებ, რადგან ისედაც ყველამ ყველაფერი იცის – უინსტონ ჩერჩილის სიტყვები მახსენდება ამ სიტუაციაზე: „როდესაც იწყება პაექრობა წარსულსა და აწმყოს შორის, აღმოჩნდება, რომ დავკარგეთ მომავალი“, – სწორედ ამ სიტუაციაშია დღეს საქართველო.

გაავთრებული იბრძვიან ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლება და არავის აღარდებს რა მდგომარეობაშია ქვეყანა. იმის ნაცვლად, რომ წინსვლის გზებზე ვეძებოთ, ნეგატიური ინფორმაციით კრემლის ინტერესებზე ვუშვებთ წყალს. წესების გარეშე წინასაარჩევნო ბრძოლას დასავლეთიც ნეგატიურად შეაფასებს და ამით ისევ რუსეთის სამხრეთ გავსდებით.

ვფიქრობ, ხელისუფლების ამგვარი განცხადებები უფრო შიშითაა გამოწვეული, რათა მათი კანდიდატი არ დამარცხდეს. რაც მთავარია, დედაქალაქის მერს, იმისი დრო არ უნდა ჰქონდეს, რომ წინასაარჩევნო კამპანიით იყოს დაკავებული.

– კალაძე მხოლოდ მერი არ არის, მას პოლიტიკური თანამდებობაც უკავია პარტიაში...

– ახალი არ არის, როდესაც ჩინოვნიკები რამდენიმე ფუნქციას ითავსებენ, მაგრამ კარგი იქნება, თუ თბილისელები მერის სხვა ფუნქციებისგან გათავისუფლებას მოვითხოვდით, რადგან დედაქალაქში უამრავი რამ არის მოსაგვარებელი და გასაკეთებელი.

შევენიერთ, რომ ერთადერთი კადრთუშუცანი საკუთარი ხელში ალბათ სხვა სახეობაშია, ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს ცხადდება შეიშვებოდა.

– „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან პროვოკაციები ახალი არ არის, მაგრამ რო-

დესაც ხელისუფლება ამაზე სპეციალურ ბრიფინგებს მართავს, საკუთარი კანდიდატის ჩავარდნის შიში ამოძრავებს, თუ სხვა ქვეტექსტებიც შეიძლება ამოვიკითხოთ ამგვარ განცხადებებში?

– ახალი მიდგომები საპრეზიდენტო კანდიდატისათვის მარტივია, როცა კონსტიტუციაში ცვლილებები შეგატყვს, მაგრამ როდესაც არჩევნები უკვე რეალურად არის ჩასატარებელი, ბუნებრივია, იქნება ღელვა, რომ ვაითუ ერთმანეთთან შეუთანხმებელი ნაბიჯები უკან შემოუბრუნდეთ.

მით უმეტეს, რომ კიდევ 25 კანდიდატის მოხმენა მოგვიწევს და კაცმა არ იცის, რა თემებზე დავსვამთ კითხვებს – მაგალითად, რატომ ვერ გაიზარდა ნელს ჯარისკაცების როდენობა ქართულ ჯარში; სხვა სფეროებშიც გამოიკვნიება კითხვები. მაგრამ მე თუ მკითხავთ, ქართული პოლიტიკის პრიმიტიული ხედვა ანგრევს ჩვენი ქვეყნის პერსპექტივას, რომელიც ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში შევიყვანდა.

– თქვენ აღნიშნეთ, რომ ძალიან ბევრს სურს პრეზიდენტობა, მაგრამ კანდიდატებს შორის მხოლოდ დავით უსუფაშვილს შეიძლება ჰქონდეს შანსი, მიიმხროს ამ ხელისუფლებაზე განაცხადებული ამომრჩეველი, თუმცა მერო ტურში მის გასვლამდე ნაკლებად კეთდება პროგნოზები. რა შეიძლება იყოს დაბალი რეიტინგის მიზეზი?

– ძნელად წარმოგიდგინია, ამომრჩეველი მის პრეზიდენტობაზე რომ ფიქრობდეს. ჩემთვის საუკეთესო ვარიანტია, რომ მის სახელს რაიმე უმსგავსობა არ უკავშირდება, უცხოეთშიც მაღალი წარმოდგენა შეიქმნა, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარის რანგში ახორციელებდა ვიზიტებს.

ხელისუფლება მეორე ტურში თუ უსუფაშვილისა და ბაქრაძისკენაც გაიხედავდა, ცუდი არ იქნებოდა, თორემ ძალიან ბევრი პრეზიდენტობის მსურველი შეიძლება გამოჩნდეს, რომელიც ამომრჩეველს დაჰპირდება, რომ პრეზიდენტის სასახლეს, როგორც სიმბოლოს შეუნარჩუნებს.

– პირველი კონფლიქტი ხელისუფლება-სა და მარგველაშვილს შორის პრეზიდენტის სასახლის გამო მოხდა. რაიმე უფრო მნიშვნელოვანი ქვეტექსტებიც სომ არ ჰქონდა ამ კონფლიქტს?

– ეს ჩანდა, თუმცა ბურუსით მოცულ სივრცეში რაც ხდებოდა, არ არის ის თემა, რაც ჩვენს ქვეყანას წაადგებოდა...

– ხელისუფლებას საკმაოდ დრო ჰქონდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარსულში დასატოვებლად. ახლა, ამ მომენტში გახდა მისთვის მოუხერხებელი?

– როგორც ჩანს, ვილაყვებს თავის გამოჩენა სურთ, მაგრამ არც ის არის დასავენებელი, რომ არცერთ ნაციონალს დანაშაული არ მოუხანებია. ეს რომ გაცეთებინათ, შესაძლოა, მეტი სიმშვიდე ყოფილიყო და „ნაციონალური მოძრაობის“ ცალკეული წევრების მიმართ სიმპათიაც კი გაჩენილიყო, მაგრამ ეს არ მომხდარა...

– ახლა უკვე ვანო მერაბიშვილის შეწყალების კამპანია წამოიწყო „ნაციონალურმა მოძრაობამ“. წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი შეიძლება იყოს ეს, თუ ვანო მერაბიშვილი ციხის გარეთ რაღაცისთვის სჭირდება?

– ვანო მერაბიშვილს ბევრი აქვს მოსახანებელი და ისდის კიდევ სასჯელს, მაგრამ სხვათა შორის, მისი მინისტრობის დროს ნარკომანია ასე არ ყვავდა, მათ შორის, ციხეში. მართალია, საპროცესო შეთანხმებებით ბიუჯეტი ივსებოდა, მაგრამ ნარკომანებიც და გამსაღებ-

ლებიც ბევრად შემცირდნენ. შეწყალება არ ვიცი, მაგრამ მე პირადად, შესაბამისი უფლებამოსილება რომ მქონდეს, დავინტერესდებოდი, როგორ ებრძოდა ნარკომანიას და თუნდაც საკანში ამ თემაზე დანერვილებით ვესაუბრებოდი...

– ხელისუფლებამ გამოიტანა თემა და როგორ მოხდა, რომ ამ თემით მხოლოდ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ დაინერაქტა? – ვაშაძე მარიხუანას მოყვანის საწინააღმდეგო ხელმოწერებს აგროვებს...

– ისიც მახსოვს, როგორ იქმნებოდა ნაციონალებისგან „გირჩი“, რომელიც სუფთა პოლიტიკას გვპირდებოდა, თუმცა მგონია, მისი პოლიტიკური საქმიანობა სისუფთავისგან შორსაა.

– ანუ როცა სჭირდებათ, რომელიმე ნარკომანის მხარდამჭერ აქციასაც აწყობენ? როგორც ჩანს, პიარში ისევ აგებს ხელისუფლება?

– მგონია, რომ სახელისუფლებო პარტიაში დაბნეულობაა. ერთი შეხედვით ერთი პარტიაა, მაგრამ სხვადასხვა შეხედულებებია და ვფიქრობ, დემოკრატიისთვის დამახასიათებელი ნიშანია.

თუმცა, როდესაც მთავარ პოლიტიკურ ძალას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც ძალზე იშვიათად გვენებოვებს საჯარო გამოსვლებით, ვიცტყობ, რომ მმართველი პარტია ამ მხრივ, დაჩაგრულია.

– უმჯობესი იქნებოდა ივანიშვილს თავად ემართა პროცესები?

– ან შეერჩია პარტიის ისეთი თავმჯდომარე, რომელსაც ენდობოდა... რაც დრო გადის, უფრო ვრწმუნდებით, რომ ნაკლებად ენდობა გარემოცვას.

– ამ ყველაფერს დაალოგებს 2020 წლის არჩევნები?

– ამის განმსაზღვრელი იქნება საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი.

– რა შედეგს ელოდებით?

– დავიდარბასს, შვოსთ, დაპირისპირებას, დაუმორჩილებლობას.

– ანუ, რაც დააანონსეს ნაციონალებმა?

– რაც შედის რუსეთის ინტერესებში, ანუ სამოქალაქო დაპირისპირება. ამის წინაპირობა წლების განმავლობაში მუშავდებოდა. შეიქმნა კარგად გააზრებული თავდასხმის საშუალებები მედიასივრცეში. უამრავი მედიაგამოცემა არსებობს, რომელიც რუსულ ინტერესზე მუშაობს. სწორედ ეს არის „რბილი ძალა“, რომელიც მეტისმეტად მომღვრდა საქართველოში.

ასზე მეტი არსამთავრობო ორგანიზაციაა დაფიქსირებული, რომლებიც რუსული ფულის მხარდაჭერით არსებობს და უსაფრთხოების სამსახური ჯერჯერობით ამ ფაქტზე არ რეაგირებს, რაც ასევე დამატებით კითხვებს ბადებს.

ესაუბრა
ლალი ზირაძე

ეს არ არის მკვირი ტავისუფლებაში ჩარევა



– ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა სოფო კილაძემ „პალიტრა მედია ჰოლდინგის“ სტამბაში პროკურატურის შესვლასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, მთავრობისთვის მთავარია, რომ მედიის თავისუფლებასა და მედიის დამოუკიდებლობას საფრთხე არ შეექმნას და ჩვეულ რეჟიმში გააგრძელოს მუშაობა.

„თუ პალიტრა მედია ჰოლდინგში“ შემავალ მედიასაშუალებებს რაიმე შეზღუდვა ექნება, ჩვენ ვიქნებით პირველები, ვინც ამის წინააღმდეგ ხმას აიმაღლებს. აქ საქმე იყო მხოლოდ კონკრეტული გამოძიების ფარგლებში საბუთების გამოთხოვასთან. არ მგონია, რომ ეს რაიმე ფორმით ზღუდადეს „პალიტრა მედია ჰოლდინგის“ მედიასაშუალებების საქმიანობას. უბრალოდ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული საბუთები იყო გამოთხოვილი. ეს არ არის მედიის თავისუფლებაში ჩარევა“, – განაცხადა კილაძემ.

დიმიტრი ქუშინიშვილთან დაკავშირებულ კითხვებზე სოფო კილაძემ განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რა შუაშია ამ საქმესთან ქუშინიშვილი.

„არ ვიცი, როდის და რა ინფორმაცია მიეწოდა საგამოძიებო ორგანოებს. ამაზე, ალბათ, უკეთესად თვითონ

გააკეთებენ განცხადებას. თუ პროკურატურამ შესაბამისი ინფორმაცია მიიღო ქუშინიშვილის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ, არ უნდა დაწყებულიყო გამოძიება კონკრეტულ საქმეზე? ან საერთოდ, რა შუაშია ქუშინიშვილი, ჩემთვის ცოტა გაუგებარია“, – აღნიშნა კილაძემ.

ეს არის „ნაციონალების“ აქცია, ჩვეულებრივი პოლიტიკური აქცია



„შველამ კარგად იცის, რომ ეს არის „ნაციონალების“ აქცია. ეს არის ჩვეულებრივი პოლიტიკური აქცია. კიდევ ერთხელ ვამბობ, იქ არ არის არანაირი ნიშნები იმისა, რომ... კომისიას რეალურად ეს არ დაუდგენია, რომ ვინმემ ვინმეს ხელი დააფარა. რაც შეეხება იმას, რომ 100%-იანი მტკიცებულებით არ არის დადგენილი სასიკვდილო ჭრილობის მიმყენებელი პირი, ამას აქვს თავისი ობიექტური საფუძველი. სწორედ ამიტომ ვერ დაადგინა კომისიამაც, ვინ იყო ეს პირი. რატომ ვერ დაადგინა, სერგი კაპანაძემ ხელი დააფარა?! დაუსვით კითხვა კომისიის წევრებს, რომელ მხარეს იდგა მ.კ. და შეეძლო თუ არა მას ეს მკვლელობა ჩაენიჭა? ყველაფერი იცის კომისიამ“, – განაცხადა პარლამენტის

თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ.

ვანო მერაბიშვილი კლინიკიდან მატროსოვის სიხშირე დააბრუნეს

საპარტუზოლო ყოფილი პრემიერ-მინისტრი ვანო მერაბიშვილი „ავერსის კლინიკიდან“ ენ. მატროსოვის ციხეში დააბრუნეს.

„ავერსის კლინიკის“ გენერალური დირექტორის დიმიტრი ჯორბენაძის განცხადებით, ვანო მერაბიშვილი კლინიკაში სასჯელს იტარებს დასჯილებული გადამწყვეტილებით მიიყვანეს, რომელსაც რამდენიმე სახის გამოკვლევა ჩაუტარდა.

„ვანო მერაბიშვილი იმყოფებოდა კლინიკაში. ის ამბულატორიულად იყო შემოსული. ჩაიტარა ის გამოკვლევები, რაც დანიშნული ჰქონდა პირადი ექიმის მიერ. ეს არის მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფია, კომპიუტერული ტომოგრაფია, კომპიუტერული კვლევიები, ექსკოპიური გამოკვლევა, ექიმის კონსულტაციები. უკვე აღარ იმყოფება კლინიკაში“, – განაცხადა ჯორბენაძემ.



ასე, ათასობით ადამიანის სიცოცხლის ფასად, მილიტარისტურმა ძალებმა მიიღწიეს სანაღდელო – ჩამოაყალიბეს ქართული მინისტრთა საბჭო ყველა სამინისტროთი, ქვეგანყოფითა და ინფრასტრუქტურით, დააკომპლექტეს ისინი პათოლოგიური აქტიურობითა და ანტიავსაზურობით გამორჩეული პერსონებით. შემდგომ მათი საქმიანობა იყო მიმართული გაუთავებელი ანტი-ავსაზური მიტინგების ჩატარებისკენ, რომლებიც გამორიცხავდნენ გუდაუთაში გადახვენილი კანონიერი მთავრობის აფხაზური ნაწილის დაბრუნებას. ერთ-ერთ ასეთ მრავალათასიან მიტინგს ამშვენებდა სოხუმში მხოლოდ უბედურების შემდეგ ჩამოსული შევარდნაძე. მას ტრიბუნაზე მხარს უმხვედნენ თამაზ ნადარეიშვილი და გივი ლომინაძე – იდგა მათთან და სიტყვაზე არ დასცდენია იმის შესახებ, რომ არ შეიძლებოდა სოჭის 1993 წლის 27 ივლისის ხელშეკრულების გადასინჯვა, რომ ხელი არ შეეშალათ მის აღსრულებაში – მთავრობის აფხაზური ნაწილის დაბრუნებაში. ასე, ჯერ ბატონ ნაპოს აფხაზინდა მოსკოვში ამ ხელშეკრულების აფხაზი ლიდერების მიერ მხარდაჭერის მიზნით, თავად კი, სოხუმში ჩასული წაყრუებით მხარს უჭერდა ანტიავსაზურ, მილიტარისტულ ძალებს. მათ გამიჯნული ბატონი ნაპო, მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე, მონაწილეობს ე.წ. ქართული მთავრობის გაფართოებულ სხდომაში, სადაც იხილებოდა სწორედ ლეგიტიმური მთავრობის აფხაზური ნაწილის სოხუმში დაბრუნების საკითხი, და მიმართავს დამსწრეთ: „შეეშვიტ ხელშეკრულების გადასინჯვას, დატოვებთ სავარძლები, გამოდით და ხელს ნუ შეუშლით კანონიერი მთავრობის საქმიანობის აღდგენას.“ ბორის კაკუბავასა და ჯანო ჯანელიძის შეძახილს: „თქვენ ითანამშრომლებთ ვლადისლავ არძინბასთან?!“: „მე სატანასთანაც ვითანამშრომლებ, ოღონდ ომი არ განახლდეს და მეტი სისხლი არ დაიდვროს აფხაზეთში!“ – ასეთი ყოფილა ბატონი ნაპოს პასუხი! „ვალმოხდელი“ ნადარეიშვილის დანიშნულების მიზნით, თბილისში გადაყვანისა და მის ნაცვლად ცხელ ხაზზე ჩვენი დროის ცოტენ დადიანის – ყიულის შარტავას მოვლინებისთანავე, ბატონი ნაპო უბრუნდება პოლიტიკას და შედის ქართულ-ავსაზურ სისხლიანი კონფრონტაციის და სამოქალაქო ომის შემდგომი ესკალაციის შეჩერების მიზნით ნეიტრალისებრი ყიულის მიერ შექმნილ სამშაო ჯგუფში. ბატონი ყიულის ნინადადებს, თბილისსა და გროზნოს შორის დიალოგის დაწყების შესახებ, რასაც უმაღლესი გამოცდილება პრეზიდენტი გამსახურდია: ის ნებისმიერი ფორმატისთვის იყო მზად, შევარდნაძე კი, ამას სამარისეული სიჩუმით პასუხობს! ბატონი ნაპოს ნინადადებსაც – შეწყვიტათ ანტი-ავსაზური მიტინგები, შემოეშვათ სოხუმში ლეგიტიმური მთავრობის აფხაზური ნაწილი და დაეწყოს დიალოგი მათთან რიგგარეშე არჩევნების ჩატარების შესახებ, ხელისუფლებისა და ე.წ. ეროვნული ერთიანობის საბჭოს მესვეურებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. ასე, ქართული მხარის მიერ სოჭის ხელშეკრულების ჩაშლისთანავე, როგორც ცნობილია, განახლდა სამარისეული მოქმედებები. მანამდე ხელისუფლების მიერ ცალმხრივად განიარაღებული ქართული სამხედრო შენაერთების სირბილი ტოვებენ აფხაზეთს და შევარდნაძე-ნადარეიშვილის მიერ მოტყუებით

მობრუნებულ (სოხუმს ჩიტიც კი არ გადაუფრენსო!) მშვიდობიან მოსახლეობას გააფთრებულ მონინაღმდების პირისპირ ტოვებენ, არ განიარაღებენ კოდორთან დაბანაკებულ 300-კაციან აფხაზურ დაჯგუფებას და, რატომღაც წინასწარ შეკეთებულ საკენჭებურის, ჯოჯოხეთის გზას უყენებენ მათ. ასეთია სიმართლე, თუ ვინმეს სჭირდება ის! **სოლო ის, თუ ვინ რა იღვანა და ვის რა ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში, თავად განსაჯეთ!**

ომის დროსაც, მის პირველ ეტაპზე, იყო ომიდან ღირსეულად გამოსვლის შესაძლებლობა. ასე, ომის დაწყებისთანავე, აფხაზური მხარე გამოდის ბატონ ნაპოსთან და ის, შევარდნაძესთან შეთანხმებით, ადღერში ხვდება ბატონ ოზგანს. აფხაზური მხარე მზად იყო, აფხაზეთი გაეყო ორად: ისინი გუმისთის იქითა, ჩრდილო-დასავლეთ აფხაზეთს ითხოვდნენ, ხოლო ქალაქ სოხუმსა და დანარ-

ვედრის მონაწილეებს თავს ესხმის შეიარაღებული რაზმი თამაზ ნადარეიშვილისა და გივი ლომინაძის მეთაურობით და აკავებენ დიალოგის მონაწილეებს. ისევე ბატონმა ნაპომ გამოიხსნა აფხაზური დელეგაცია, რომელიც გამოშვებების გარეშე ბრუნდება გუდაუთაში. მეორე დღეს სოხუმის მონაწილედ ცაზე პირველად გამოჩნდნენ ჭურვები. ასე იქნა დაკარგული ომიდან გამოსვლის ყველაზე რეალური შესაძლებლობა.


ომის პირველ დღეებშივე იქმნება „აფხაზეთის ხსნის კომიტეტი“, რომელიც გაერთიანდნენ ისეთი ცნობილი აფხაზი მოღვაწეები, როგორებიც იყვნენ: **ლორიკ მარშანია, რაულ ეშბა, ვიოლეტა აგრაბა, სვეტლანა ქეცბა, ალიოშა კვიცინია და ბევერი სხვა**, რომელთა ჩამოთვლას ჩვენც, როგორც ბატონი ნაპო, შეგნებულად თავს ვარიდებთ. ისინი რეალურად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას და ეძებდნენ კრიზისიდან გამოს-

ვითადა, აუყვანიით და გადაუყვანიით ქ. ტყვარჩელში, იქიდან ბატონი ბაგრატი და ქალბატონი ვიოლეტა გადაუყვანიათ რუსეთში, ქ. ნალჩიკში. თავად ალიოშა კვიცინიას რამოდენიმე დღე-ღამე კარცერში გაუტარებია, შემდეგ შეუნყალებიათ. ჩანაფიქრი ქლოუში ჩასვლის წინ, მას გაუმხელია, თურმე, გივი ლომინაძისთვის, რასაც ის მზარედ განიცდიდა. ასე დაიკარგა მამინ აფხაზი ხალხის შემობრუნებისა და კრიზისიდან ნაკლები დანაკარგებით გამოსვლის კიდევ ერთი პერსპექტივა.

ამდენად, ვინ იცის, რამდენჯერ შეეცადა ბატონი ნაპო, გადაერჩინა აფხაზეთი, რამდენჯერ გამოიხსნა აფხაზური მხარესთან კონფლიქტის დარეგულირებისა და ომიდან ღირსეულად გამოსვლის საშუალება და გზები. როგორც ხედავთ, ისინი იმდენად, რომ ყველას მოტანა შეუძლებელია, მაგრამ ერთი მათგანი იმდენად მნიშვნელოვანია,

საღსნი სულ სხვა პზრისსა: საღსმა ისის სიმაართლა!

ანუ კიდავ ერთხელ იაზა, თუ ვინ რა იღვანა და ვის რა ბრალი მიუძღვის აფხაზეთის ტრაგედიაში!



ჩენ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აფხაზეთს უთმობდნენ ქართულ მხარეს: „Мы, ведь, малочисленный народ и нам ЭТОЙ территории хватит. Есть, ведь, в Европе такие маленькие государства, как Люксембург, Монако, Лихтенштейн, Мальта и др.“ – უთქვამს ბატონ ოზგანს. ასეთი გამოგნებული ინფორმაცია ჩამოაქვს ბატონ ნაპოს ადღერიდან, მას უსმენენ „გოსსაბჭოში“ და ყველაფერს უკომენტაროდ ტოვებენ. არც ახალ დავალებას აძლევენ. გაგანია ომის დროს გუდაუთიდან სოხუმში ჩამოდის შთამბეჭდავი დელეგაცია კონსტანტინე ოზგანის, ალექსანდრე ანკვაბის, ოლეგ დამენიას, ლეონიდ ლაკერბაიას და ვალერი კვარჭიას შემადგენლობით. ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმებით, ხვდება მათ ბატონი ნაპო აფხაზეთის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ გოგა ხაინდრავას, დეპუტატ აკაკი გასვიანის და აფხაზეთის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, ან. განსვენებულ ავთანდილ იოსელიანთან ერთად. **აფხაზური მხარე მზად იყო შეეწყვიტა სამარისეული მოქმედებები და მისჯდომოდა მოლაპარაკების მაგიდას: „Допустим, мы бросаем оружие, скажите какая будет Абхазия в составе Республики Грузия!“** – ეკითხება კონსტანტინე ოზგანი ბატონ ნაპოს. იმ დროს, როდესაც ბატონი ნაპო აფხაზურ მხარეს უხსნიდა, თუ რამდენად გაფართოებული პოლიტიკური და ეკონომიკური უფლებები მიეცემოდათ მათ და როგორ გაიმჯნებოდა უფლებამოსილება ცენტრსა და რეგიონს შორის, შეს-

ვლის გზებს. ხსნის ერთადერთ გზას ისინი ეთნიკური აფხაზი ინტელიგენციის გაერთიანებას და ხალხისთვის მიმართვას მიიჩნევენ. ისინი მზად იყვნენ გამოეცნოდნენ არძინბასა და მის პოლიტიკას, შერიგებოდნენ ქართულ მხარეს. შედგენილი ჰქონდათ კიდევაც ასეთი მიმართვის ტექსტი, რომელსაც ხელს აწერდნენ ეთნიკური აფხაზების ორმოცამდე ცნობილი და გავლენიანი წარმომადგენლები. ამ მიმართვის ტექსტით ერთ-ერთ საღამოს, ბატონ ნაპოსთან მოდის ცნობილი აფხაზი საზოგადო მოღვაწე და სთხოვს მას დახმარებას ბაგრატი შინკუბას ოჩამჩირიდან გამოყვანაში. ის უნდა ჩასდგომოდა სათავეში ამ მოძრაობას. ამის შესახებ ინფორმაცია უკვე ჰქონია ბატონ ბაგრატს, მაგრამ ბატონი ნაპოს ნინადადებით ცნობილი ჩეკისტი და მწერალი ალიოშა კვიცინია და პროფესორი ვიოლეტა აგრაბა კიდევ ერთხელ ჩადიან ფეხით, ბლოკირებულ ტამიშის გვერდის ავლით, ოჩამჩირის რაიონის სოფ. ქლოუში, რათა უფრო დეტალურად გასცნობოდა ბატონი ბაგრატი მისი გამოყვანის გეგმას. ყველაფერი მოფიქრებული და მოგვარებული ყოფილა: ოჩამჩირის ფრონტზე დეგრეანს ქმნიდა აფხაზი ეროვნების გავლენიანი პიროვნება, შემდეგ კი რეანომობილით, როგორც ავადმყოფი, იგი ქართულ მხარეს უნდა ჩამოეყვანა სოხუმში. ქალბატონი ვიოლეტას საქმეში ჩართვა მიზანშეწონილია მიუჩნევიდა ბატონ ნაპოს, რადგან მისი ჩასვლა დაამშვიდებდა ბატონ ბაგრატს და, ამავდროულად, დაარწმუნებდა იმაში, თუ რა რიგ მნიშვნელოვანი იყო მისი სოხუმში ჩამოსვლა და ამ მოძრაობისათვის სათავეში ჩადგომა. მეორე დღესვე ბატონი ნაპო გადააწყდა გივი ლომინაძეს, იმ ხანად „სტაბილიზაციის დროებითი კომიტეტის“ თავმჯდომარეს და ისმენს მისგან საყვედურს: „რა არის, ბატონო ნაპო, რომ ჩვენს ზურგს უკან მოქმედებთ?! რატომ არ გვითანხმებთ ჩვენ, თუ რა საქმიანობას ეწევით აფხაზურ მხარესთან?“ ბატონი ნაპო უმაღ ხვდება, რომ კონფიდენციალურობა დარღვეული და ჩანაფიქრი ჩავარდნილი იყო. მოგვიანებით, სოჭის ხელშეკრულების მხარდაჭერის მიზნით, აფხაზ ლიდერებთან – ფაზილ ისკანდერთან და ბაგრატი შინკუბასთან შესახვედრად შევარდნაძის მიერ მოსკოვში გაგზავნილი ბატონი ნაპო ხვდება იქ მყოფ ალიოშა კვიცინიას და მისგან შეიტყობს, რომ ქლოუში ჩასვლისთანავე ისინი, ბაგრატი შინ-

რომ არ შეიძლება არ შევიჩრდეთ უფრო დეტალურად.

ომის დამთავრებიდან ორიოდე წლის შემდეგ ბატონი ნაპო ახერხებს ბატონ შევარდნაძესთან შეხვედრას და არწმუნებს მას, რომ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისთვის უფლებამოსილების შეჩერება და კონფლიქტის დარეგულირების საკითხების ქვეყნის ფარგლებს გარე გატანა, მისი ინტერნაციონალიზაცია არ იყო გონივრული გადაწყვეტილება, რომ ეს იყო შეცდომა. ერთსაათიანი ბჭობის შემდეგ, მან დაარწმუნა ქვეყნის მეთაური დეპუტატებისთვის უფლებამოსილების აღდგენის მიზანშეწონილობაში. ასე აღდგა დღეს თბილისში არსებული აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და მისი მთავრობა. ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენა ბატონმა ნაპომ გონივრულად გამოიყენა – უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რანგში ჩაერთო ფენევა-მოსკოვის ფორმატით ცნობილ ქართულ-ავსაზურ დიალოგში. ის ჩადიოდა ქმოსკოვში ერთი კვირით ადრე და ხვდებოდა იქ მყოფ აფხაზ ლიდერებს. ასეთი კულუარული შეხვედრებისა და აფხაზურ მხარესთან უშუალო მუშაობის შედეგად, მან მიიღწია, ოფიციალურ სოხუმთან შეთანხმებით, ისეთი დოკუმენტის შედგენას, რომელიც ითვალისწინებდა დევენილი მოსახლეობის მასობრივ და უსაფრთხო დაბრუნებას. რაც მთავარია, ეს დოკუმენტი, რომელსაც ექსპერტების დონეზე აწერდნენ ხელს ბატონი ნაპო და არძინბას პირადი წარმომადგენელი ანრი ჯერგენია, აფხაზეთს განიხილავდა საქართველოს შემადგენლობაში. იმავდროულად, მხარეების მოთხოვნით, უარი ეთქვა

დასასრული. დასაწყისი **№188-189**



ედუარდ შევარდნაძე, თამაზ ნადარეიშვილი და გივი ლომინაძე გაბრის დაცემის შემდეგ სოხუმში გამართულ აქციაზე

მოლაპარაკებების შედეგად და მოსკოვის ფორმატებს – დიალოგი გადმოვიდა საქართველოში, გალში და სოსუმში. ამით ქართულ-აფხაზური კონფლიქტი შიდაპოლიტიკური კონფლიქტის არსს უბრუნდებოდა, იგი კარგავდა საერთაშორისო დატვირთვას და მნიშვნელობას, რის შედეგად ქვეყნის არალეგიტიმურმა, სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ აფხაზურ მხარეს ლამის საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსი მიანიჭა და ასეთ რანგში მიუჯდა მასთან მოლაპარაკებების მაგიდას ხან შენევაში, ხან მოსკოვში და ხან სადღეს შეცდომა იყო. აი ასე, ხელისუფლების უგუნური და მიუტყვევებელი შეცდომა გამოასწორა ბატონმა ნაპომ და კონფლიქტთან დაკავშირებული ყველა საკითხი დაუბრუნა საზოგადოებას. ამით ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის იწყებოდა პირდაპირი დიალოგის პროცესი. ეს მათ ურთიერთობაში პოზიტიური გარდევვა იყო. მათ ურთიერთობაში ახალი ეტაპი იწყებოდა.

საქართველოს პოლიტიკური უნივერსიტეტთან არსებული კონფლიქტის დარეგულირების სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური კვლევების ცენტრის წარმომადგენლები – უშიშროების ექსპერტიზისა და უშიშროების საბჭოს ყოფილი მდივანი ჯემალ გახაკიძე, ცნობილი კონსტიტუციონალისტი ავთანდილ დემეტრაშვილი და მათი თანაავტორები, სოფო მიდელაშვილი, ქეთევან ჯინჭარაძე და გიორგი გორაძე თავიანთ წიგნში „ძიებანი საქართველოს განდგომილი რეგიონების შემორიგებისათვის“ (თბილისი, 2017) ქ. მოსკოვში 1995 წლის 30 მარტის ქართულ-აფხაზური დიალოგს და მის შედეგებს მიიჩნევენ ყველაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად. მათი აზრით, მას შემდეგ, კონფლიქტის მოგვარებას ასეთი წინსვლა არ ჰქონია, მიუხედავად საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროსა და ეუთოს 100-ზე მეტი გადამწყვეტილებისა. მოსკოვის 1995 წლის 30 მარტის შეთანხმებაში პირველად ერთ პოზიციაზე დადგნენ აფხაზეთის კონფლიქტის მხარეები; შეთანხმდნენ, რომ დაპირისპირება დამლუვებულია მხარეებისთვის და გამოთქვეს მზადყოფნა, ბოლო მოუღონ უაზრო სისხლისღვრას; შეთანხმდნენ, რომ კონფლიქტის სრულმასშტაბიანი დარეგულირებისათვის აუცილებელია დევნილი მოსახლეობის ღირსეული დაბრუნება, მათი უსაფრთხოებისა და უფლებების აღდგენისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვა. მათი აზრით, შეთანხმების პროექტი, რომლის ავტორები იყვნენ აფხაზთა მხრიდან – ანრი ჯერგენია და ქართველთა მხრიდან ნაპო მესხია, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დელეგაციის წევრი, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საზოგადოებრივი და საკანონმდებლო უწყველი შემადგენლობაში აფხაზეთის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხს, მაგრამ მას განხორციელება არ ეწერა: მხარეების მიერ ხელმოწერილი ასეთი ოფიციალური სოსუმთან შეთანხმებული პროექტით ხელდაშენებულ, მოსკოვის ქართულ-აფხაზური დიალოგის ოფიციალური მონაწილეს, ბატონმა ნაპომ მესხიას არ ღებულობს ქვეყნის მეთაური, ბატონი შევარდნაძე. ხოლო მოსკოვური შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე, 1995 წლის 8 აპრილს, ქ. გალში დაგეგმილ მხარეების შეხვედრამდე ორი დღით ადრე, მის შემოგარენში, სოფ. მახუნჯიაში ეწყობა ტერაქტი, რომლის შედეგად იღუპება აფხაზური პოლიციის შვიდი მაღალჩინოსანი და აფხაზეთში ცხადდება გლოვის დღეები. ასე იქნა ჩაშლილი ხელისუფლების, კერძოდ, ბატონი შევარდნაძისა და რეჟიმისტული ძალების მიერ კონფლიქტის მოგვარების კიდევ ერთი, ალბათ, ყველაზე რეალური შანსი. მოგვიანებით ბატონი ნაპოსთვის ცნობილი ხდება, რომ საქართველოს ელჩს რუსეთში, ბატონ ლორთქიფანიძეს გადაეცა ხანა ეს პროექტი როგორც შევარდნაძისთვის, ასევე ნადარევილისთვისაც. ეს უკანასკნელი მოგვიანებით ბატონ ნაპოს პირველი ღიმილით ეუბნება, თურმე: „თქვენი პროექტი იმ დღესვე იყო ჩემთვის ცნობილი და ჩემს მაგიდაზე იდო.“ მაშინ ბატონი ნაპოსთვის ნათელი გახდა, თუ რა დონის ღალატს ჰქონდა ადგილი და იმ დღესვე გადადგა თანამდებობიდან.

აი, ასეთ კაცს „პოლიტიკისგან ძალიან შორს მდგარს“ უნოდებენ ეროვნულ ლოზუნგს ამოფარებული მედროეები! ჰოი, ამოვინა, საკვირველებავ, აუცილებლად უნდა იზადებინაო, რომ პოლიტიკოსი დაგვეჩქვას?! ან რა დიდი ღირსებაა პოლიტიკოსობა? არ ჯობია უღალატო, კაცური კაცის სახელით დაიარებოდე ამქვეყნად?! ბატონ ნაპოს შემდგომშიც არ მიუტოვებია უფურცად აფხაზეთთან დაკავშირებული პრბლემები. გასული საუკუნის ბოლოს გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების პატრონაჟით მიმდინარეობდა სამთავრობო დონეზე ქართული და აფხაზური დელეგაციების შეხვედრები. ათენისა და სტამბოლის შეხვედრების მონაწილე თავად იყო. ამ შეხვედრების მთავარი მიზანი მხარეების ურთიერთდაახლოება და ნდობის აღდგენა იყო. ამასთან ერთად იხილებოდა სხვა საკითხებიც, მათ შორის კონფლიქტის ზონაში ერთობლივი სწრაფი რეაგირების ჯგუფების შექმნისა და მუშაობის საკითხი. მაგრამ გაეროს მიერ შემოთავაზებული ეს დოკუმენტი მხარეებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა: აფხაზური მხარე მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში სამართლებრივი ფაქტების ცალკე, დამოუკიდებლად მოკვლევისა და სამართლებრივ დასჯის უფლებას. ამ დოკუმენტში იყო მხარეებისათვის შეუძლებელი აფხაზური მხარე მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში სამართლებრივი ფაქტების ცალკე, დამოუკიდებლად მოკვლევისა და სამართლებრივ დასჯის უფლებას. ამ დოკუმენტში იყო მხარეებისათვის შეუძლებელი აფხაზური მხარე მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში სამართლებრივი ფაქტების ცალკე, დამოუკიდებლად მოკვლევისა და სამართლებრივ დასჯის უფლებას. ამ დოკუმენტში იყო მხარეებისათვის შეუძლებელი აფხაზური მხარე მოითხოვდა კონფლიქტის ზონაში სამართლებრივი ფაქტების ცალკე, დამოუკიდებლად მოკვლევისა და სამართლებრივ დასჯის უფლებას.

ასევე გვერდს ვერ აუვლით მის გახმაურებულ ღია წერილს ქვეყნის ექსპერტიზის დეპარტამენტის ხელმძღვანელი – მისი და მთლიანად მისი ხელისუფლების უგუნურებაში და ქვეყნის ღალატის ტოლფას შეცდომებში მამხილებელ წერილს, ასევე მისი პრობლემებისადმი კონკრეტული და ნინდახედული მიდგომის კიდევ ერთ ფაქტს. ბატონებო, განა ბატონმა ნაპომ არ ჩაგვიშალა და არ გაგაფრთხილა, როდესაც უმაღლესი საბჭოს სესიაზე ავალბობდით თამაზ ნადარევილის თავდაცობით ახალ პარტიას „აფხაზეთი ჩვენი სახლი“, რასაც არც კანონი და არც უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებდა, რომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება, რადგანაც ნადარევილის რეიტინგის გათვალისწინებით, ეს პარტია ჩავარდებოდა საპარლამენტო არჩევნებზე და მოხდებოდა დევნილი მოსახლეობის თვით აფხაზეთელობის არსის და ფაქტის დისკრედიტაცია. ასეც მოხდა, თ. ნადარევილისა და მისმა პარტიამ არჩევნებზე მიიღო მხოლოდ და მხოლოდ ხმათა 0,1%. მაშინ არ იყო, რომ ვ. არძინბამ შემოგვძახა ეთერში: „Я же говорил, что беженцы у себя дома! Выборы показали, что Абхазия не их дом! Вот, теперь они на своей исторической родине!“ – ეს იყო ბატონი ნაპოს გაფრთხილების გაუთვალისწინებლობის შედეგი – შეურაცხმყოფელი და მომაკვდინებელი ჩვენთვის! და კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც მისი სიმამაცის და ვაჟკაცობისთვისაა დამახასიათებელი. მან თავისი ოპონენტებისგან განსხვავებით, რომლებმაც ბევრად ადრე დატოვეს აფხაზეთი და გააღწიეს სამშვიდობო, ვიდრე დატვირთვა აფხაზეთი, თავის მცირერიცხოვან თანამშრომლებთან: სლავა სეჟანიასთან, დავით ჩიქოვანთან, გიგა კვარაცხელიასთან, ლენა შემიტოვასთან, თემურ ბარკალიასთან და მათა ბადათურასთან, ცენტრის მთავარ ექთან ნანა უგრეხელიძესთან, საოპერაციო ბლოკის უფროს მედეა ლალი ჯეჯეიასთან; მედეებთან: ნინო საჯაიასთან, ლია მუხამედეაანოვასთან, ლალი შუბითიძესთან, ნატაშა მელიქიანთან; სანიტარ ვალია ჟიტკოვასა და მძღოლ სერგო ნინუასთან ერთად არ მიატოვა დაჭრილი მეომრები, როცა მტერი 200-300 მეტრში იგდა – ახალი რაიონის შესახვევთან. მან არ დატოვა თავისი სამსახური, სანამ არ გადმოიყვანა დაჭრილი მეომრები და თანამშრომლები სამშვიდობოზე, გულრიფშის რაიონის აგუძერის ჰოსპიტალში. მხოლოდ ამის შემდეგ 25 სექტემბერს გამთენიისას უკანასკნელი ტოვებს ბატონი ნაპო მოხუც სანიტარ ვალია ჟიტკოვასთან ერთად, რომელიც დედასავით უვლიდა მას, თავის პირმშოს – ნეიროქირურგიულ ცენტრს და საოპერაციო კოსტიუმში გადადის ასევე აგუძერის ჰოსპიტალში.

პიტაღორა. ხოლო დაჭრილ მეომრებთან ერთად უკანასკნელი გემით ტოვებს აფხაზეთს 29 სექტემბერს, ღამით – სოსუმის დაცემის მესამე დღეს! სანიტარი ვალია ჟიტკოვა წლების განმავლობაში ცხოვრობდა მის სახლში ოტობაიაში და სიკვდილის შემდეგ ის ბატონმა ნაპომ ქრისტიანული ყველა წესის აგებით დაკრძალა მამაპაპისეულ სასაფლაოში.

კიდევ ბევრი შეიძლება ითქვას ამ საოცარ ადამიანზე და მის საქმიანობაზე, მაგრამ, რაც მოხერხდა, საგნებით საკმარისია იმისათვის, რომ მკითხველი მიხვდეს, თუ რა კაცზე და რა დონის საზოგადო მოღვაწეზე – რა დონის ერისკაცზეა საუბარი. მას შეიძლება უსაყვედურო მხოლოდ და მხოლოდ ის, რომ მოხსნა თავისი კანდიდატურა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. მაგრამ აქ ის არის მნიშვნელოვანი, რომ მან არაერთგვაროვნად უწევდა ყველას პირადი ამბიციების ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მოთხოვნის შესანიშნავი მაგალითი. დღეს ყველას ახსოვს, რომ აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის დანიშვნის საკითხი იყო არა მხოლოდ ქართულ-აფხაზური, არამედ შიდაქართული ფარული და უკომპრომისო დაპირისპირების (ძირითადად თამაზ ნადარევილისა და გივი ლომიძის შორის) საგანიც და ამასთან დაკავშირებით ვითარება იხილება. სწორედ მაშინ ბატონმა ნაპომ მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ითქვა, სარგებლობდა ყველაზე მაღალი რეიტინგით და დეპუტატიაში ყველაზე მეტი მხარდაჭერა ჰქონდა. ბატონი ნაპოს ეს ნაბიჯი, სამწუხაროდ, მცდარი აღმოჩნდა. იმ კრიტიკულ სიტუაციაში აფხაზეთის მთავრობისთვის უნდა ეხელმძღვანელა სწორედ ისეთ კაცს, როგორც იყო ბატონი ნაპო მესხია. მას სხვებზე მეტად ხელენიფებოდა აფხაზეთში არსებულ პრობლემებთან გამკლავება, აფხაზურ მხარესთან საერთო ენის გამოხატვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. ბატონი ნაპო დაწინაურდა, რომ ომის პარტია მაინც მიიღწევდა საწადელს – გააჩაღებდნენ ომს და მაშინ ომი და მისი შედეგები დაუკავშირდებოდა მის სახელს, ექიმის სახელს. აი, ეს იყო მისი, ასე ვთქვათ, შეცდომის მთავარი მიზეზი. ამას ის მწარედ განიცდის!

ასეთია ბატონი ნაპოს, როგორც ქირურგის, დეპუტატისა და საზოგადო მოღვაწის საქმიანობის არასრული ჩამონათვალი. ასეთი არის ეს გაუტყველი ადამიანი: ღრმად განსწავლული, დიდსულოვანი, მუდამ სიკეთისა და გონიერების მქადაგებელი, ბრძენი ალბერტდელი და მასწავლებელი, მშვიდობისმყოფელი კაცი, რომელსაც „საერთაშორისო უნივერსალურმა მშვიდობის ფედერაციამ“ (ქ. სეული, სამხრეთი კორეა) ამასწინაბა „მშვიდობის ელჩის“ საპატიო ნიშნით მიანიჭა!

ასეთი იყო და არის ეს ხალხისა და ქვეყნის ერთგული კაცი – სანიმუშო დეპუტატი და ნინდახედული საზოგადო მოღვაწე. მისი სიცოცხლე და განვლილი გზა მართლაც გამოჩენილია, ძალიან საინტერესო და ამავდროულად ტრაგიკული. ასეთ ადამიანებს ერისკაცები ჰქვიათ და იმდენად იშვიათი არიან, რომ საზოგადოება მუდამ მათ დეფიციტს განიცდის. ასეთებს სანთლით ეძებენ!

ვინ იცის, იქნებ, ასეთ კაცს ეძებდა დიდი დიოგენე, როდესაც დარბოდა დღისით-მზისით ფანრიო ხელში და გაიძახოდა: „კაცს ვეძებ, კაცსო!

ვგიჟობო, მკითხველს არ გაუჭირდება ამაზე პასუხის გაცემა, მას არც დასკვნის გამოტანა გაუჭირდება, თუ რამდენად გადაჭარბებული და გაზვიადებული იყო დეპუტატი.



ქიული შარტავა – XX საუკუნის ცოტნე დანიანი

ტატთა 11-კაციანი ჯგუფის წერილი, მიძღვნილი ბატონი ნაპოს ოპილესადმი. მას არ გაუჭირდება ასევე იმის გარჩევა, თუ ვინ ვინ არის და ვის რა მიუძღვის ან რა ადგილი უჭირავს აფხაზეთის ტრაგედიაში. არაფერს ვამბობთ, თუ რამდენად გარდაუვალი იყო ომი აფხაზეთში და რამდენად მიზანშეწონილი და ღირსეული იყო საკუთარი ხალხის წინააღმდეგ საომარი მოქმედებები, რის თვითმხილველი და ერთგვარი მონაწილენი ვართ ჩვენ და რასაც შეეწირა ამაღნი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე, დევნილად აქცია საკუთარ ქვეყანაში ასე ათასობით მკვიდრი მოსახლეობა და დაარღვია ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ამაზე დუქმან, სახელისუფლებო წრეებში ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ კარგად იციან, თუ რის შედეგად მოხდა ეს ყველაფერი. ამის მიხედვით რას დიდ პოლიტიკოსობა როდი სჭირდება! ხალხმა კი იცის სრული სიმართლე! მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამას! არც ჩვენ ვამბობთ ამაზე საუბარს, კომენტარის გარეშე ვტოვებთ ყველაფერს მკითხველის დაფიქრებისა და განსჯისათვის! ვიტყვით მხოლოდ ერთს: ჩვენთვის მიუღებელია, როდესაც ქვეყნის ამ უბედურების მონაწილენი ცდილობენ დანაშაულთა ჭაობიდან მშრალად და სუფთად ამოსვლას; ვერ შევგუდებით, როდესაც გუშინდელი საველები დღეს ყველას თვალწინ ურცხვად ცდილობენ პავლეებად გარდასახვას და ფერისცვალებას, ამას ჩვენ ვერ მივიღებთ, ამას საზოგადოება ვერ შეეგუება. ეს ამაზრზენია!

- ნეიროქირურგიული ცენტრის ყოფილი თანამშრომლები: **დაზმირ ხანაძე**, ნეიროქირურგი: **ბანაიოტის სტილიდისი**, ნეიროქირურგი: **გიბ ხინდრაძე**, რადიოლოგი: **ლენა შვიტოვა**, ექიმი-ლაბორანტი: **რესპუბლიკური საავადმყოფოს ყოფილი თანამშრომლები: გივი იფანიშვილი**, უროლოგი: **რეზაზ ხარჩილაძე**, ქირურგი: **ზურაბ ინუშიძე**, თერაპევტი: **ნანა ლატარია**, გასტროენტეროლოგი: **არნოლდ კვარაცხელია**, ბავშვთა ქირურგი, განყოფილების უფროსი: **ლარი ჩარბაზია**, ანესთეზიოლოგ-ანიმატოლოგი: **ნათო მამასახლისი**, გინეკოლოგი: **ქალაქ სოსუმის სხვადასხვა კლინიკების ყოფილი თანამშრომლები: ბურაბ პაჭკორია**, ქალაქის I საავადმყოფოს მთავარი ექიმი: **ელისო ბაგუნია**, ოფთალმოლოგი: **ნუზარა ვადელია**, თერაპევტი: **თამაზ ჯანაშია**, ოტოლარინგოლოგი: **თინა ჭაჭუა**, ფსიქიატრი: **ნონა სიძინაძე**, თერაპევტი: **ოთარ ხურბანი**, ტრავმატოლოგი: **სოსო გამციამიძე**, თერაპევტი: **გალის რაიონის მედიცინის ყოფილი თანამშრომლები: დალილა სორაბა**, ყოფილი მთავარი ექიმი, ჯანდაცვის ექსპერტიზის მეთაური: **ქეთევან კვარაცხელია**, პედიატრი: **ვიქტორია ტომაშვა**, თერაპევტი: **ვალერი ჯოჯუა**, ქირურგი: **დავით ტაბაღაძე**, სანეპიდემიოლოგი: **კლარა აბლოთია**, კარდიოლოგი: **პალიკო ლამანიძე**, რადიოლოგი: **რამო ლამანიძე**, ტრავმატოლოგი.



დერეკ შოლ: ნატოში საქართველოს განეკუთვნება რთული საკითხია

ინტერვიუ ობამას კაბინეტის ყოფილ მაღალჩინოსანთან

ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დროს დერეკ შოლ თავდაცვის მდივნის მოადგილე იყო. დღეს იგი გერმანიის მარშალის ფონდის მკვლევარია. დერეკ შოლს „ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი ესაუბრა.

– ბატონო დერეკ, მაგალითად ინტერვიუსთვის. თქვენ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობაში უკვე დიდი ხანია, ხართ ჩართული და ასევე დიდი ხანია მას სწავლობთ. როგორ შეაფასებდით ამ ურთიერთობას დღეს?

– უდავოა ის, რომ ურთიერთობა ცივი ომის შემდეგ ასეთი ცუდი არასდროს ყოფილა. რუსეთი ამერიკის დემოკრატიას და ევროპელი მოკავშირეების დემოკრატიას დაესხა თავს. ძალიან ცოტაა ისეთი საკითხი, რომელზეც ამერიკას და რუსეთს შეთანხმება შეუძლია. მიუხედავად ამისა, საკმაოდ დამამხრებელი პერიოდში ვართ, რადგან უმაღლეს დონეზე – პრეზიდენტ ტრამპსა და პრეზიდენტ პუტინს შორის – განსხვავებული ატმოსფეროა, რაც ცოტა ხნის წინათ ჰელსინკის სამიტზე გამოჩნდა. შეერთებულ შტატებს კარგი მიზეზი აქვს იმისთვის, რომ რუსეთს სერიოზული სანქციები დაუწესოს. ასე რომ, ურთიერთობა საკმაოდ რთულია.

– როდის ამოვარდა ურთიერთობა რელსებიდან? თითოეული პრეზიდენტი დასაწყისშივე ცდილობს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. თქვენ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის დროს ამ პროცესში იყავით ჩართული. რა მოხდა?

– ვფიქრობ, ბოლო პერიოდში ურთიერთობის გაუარესება 2012-2013 წლებში დაიწყო, როცა ვლადიმერ პუტინი პრეზიდენტად დაბრუნდა. რომ გადავხედოთ ამერიკა-რუსეთის ურთიერთობას ცივი ომის შემდეგ, თანამშრომლობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის დროს 2009-2013 წლებში – „გადატვირთვის“ პოლიტიკის დროს – იყო. მაშინ პრეზიდენტ ობამას და პრეზიდენტ მედვედევს გარკვეული მიღწევები ჰქონდათ. ასევე ჰქონდათ მნიშვნელოვანი უთანხმოებებიც, მაგრამ, მაგალითად, ავღანეთთან, ირანთან თუ ბირთვული არსენალის შემცირებასთან დაკავშირებით, მათ საერთო ენის გამოხატვა მოახერხეს.

როცა მედვედევმა საპრეზიდენტო ვადა დაამთავრა და პრეზიდენტად პუტინი დაბრუნდა, ურთიერთობის გაფუჭება მაშინ დაიწყო. მას შემდეგ კი ყველაფერი მხოლოდ გაუარესდა – 2014 წელს

მოხდა ყირიმის უკანონო ანექსია და 2015 წელს რუსეთმა სირიაში ჩართულობა გაზარდა. მას შემდეგ ურთიერთობა სტაბილურად გაუარესდა და დამამხრებლობამაც მოიმატა.

– საქართველოს გადმოსახედიდან ეს სხვაწარად გამოიყურება. საქართველოს გადმოსახედიდან შეერთებულმა შტატებმა რეაგირება არ გააკეთა რუსეთის საქართველოში შეჭრაზე, სამხედრო აგრესიის შემდეგ რუსეთს არ მიჰყვა ბოლომდე და არ გააგრძელა წინა ადმინისტრაციის პოლიტიკა. ბარაკ ობამას ადმინისტრაციამ არა მხოლოდ რუსეთის საქართველოში შეჭრაზე არ გააკეთა რეაგირება, არამედ უპასუხოდ დატოვა რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება...

– შეერთებული შტატების რეაქცია 2008 წლის აგვისტოს ომზე ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, თუ რა მოხდა 2014 წელს უკრაინის შემთხვევაში. ეს არის საკითხი, რომელზეც დებატები დღესაც გრძელდება. თუმცა, ევროპის ბევრ ქვეყანაში ამბობენ, რომ რუსეთი არ შეცვლილა და რომ ის, რასაც დღეს ვხედავთ, 2008 წლის გაგრძელებაა და „გადატვირთვა“ ნორმიდან გადახვევა იყო. სამწუხაროდ, დღეს შეერთებულ შტატებში პოლიტიკური სპექტრის ყველა მხარეს – პრეზიდენტის გამოკლებით – არსებობს კონსენსუსი რუსეთის ზრახვებზე და რუსეთის მიერ ჩვენთვის პოტენციური ზიანის მიყენებაზე. ჯერ ისევ მიმდინარეობს დებატები იმაზე, თუ რა რეაგირება უნდა გააკეთოს ამერიკამ, მაგრამ არ მგონია, არსებობდეს ეჭვი იმაზე, თუ რას წარმოადგენს რუსეთი.

– როგორც თქვენ აღნიშნეთ, პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ერთგვარი გამოწვევისია. ეს რომ გვერდზე გადავდოთ, თქვენი აზრით, რისი გავლენა შეიძლება ურთიერთობის გასაუმჯობესებლად? ურთიერთობაში ასეთი დამამხრებლობა საშიშია არა მხოლოდ ორი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის...

– ყოველთვის მნიშვნელოვანია, დიპლომატიკა და ლიდერებმა პოტენციურად დადებითი შესაძლებლობები ეძებონ. არსებულ კონტექსტში ეს ძალიან რთულია. სამომავლოდ საუკეთესო

გზა, ჩემი აზრით, დადებითი ჩართულობის ძებნაა იქ, სადაც თანამშრომლობა პროდუქტიული იქნება. თუმცა, ვფიქრობ, ფიზიკური თვალთუხავე შედეგსოთ შესაძლებლობების პოტენციალი. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ წინააღმდეგობის გასწავლად იქ, სადაც ჩვენი ინტერესები საფრთხის წინაშეა. ეს განსაკუთრებით იმ უხეშ და საშიშ ნაბიჯებს ეხება, რომლებიც რუსეთმა გადადგა ამერიკის დემოკრატიული ფუნდამენტების შესარყევად.

– საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან შეერთებულ შტატებთან კარგი ურთიერთობა აქვს. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციამ ისიც კი გააკეთა, რაც მანამდე არ მომხდარა – საქართველოს თავდაცვითი იარაღი მიყიდა. თუმცა, იმავეს ვერ ვიტყვით საქართველოს ურთიერთობაზე ევროპასთან. თქვენი აზრით, რა უნდა გააკეთოს საქართველომ ზოგიერთ ისეთ წამყვან ევროპულ სახელმწიფოებთან, როგორცაა, მაგალითად, საფრანგეთი და გერმანია?

– ამერიკის და ნატოს გადმოსახედიდან, საქართველო არაჩვეულებრივი პარტნიორია. ეს არის პატარა ქვეყანა, რომელიც ალიანსის მიხედვით მხარდასაჭერად, მაგალითად, ავღანეთში და მანამდე ერაყში, იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე ნატოს ბევრი წევრი. ამერიკისთვის ეს შეუმჩნეველი არ რჩება, ანუ საქართველო ძალიან კარგად წარმოაჩენს იმას, თუ ნატოს როგორი წევრი შეუძლია იყოს. ვფიქრობ, აქ შეერთებულმა შტატებმა ლიდერის როლი უნდა ითამაშოს. სამწუხაროდ, არ მგონია, ამერიკა დღეს ლიდერის პოზიციაში იყოს, რომელიც საქართველოსა და ევროპის ქვეყნებს შორის არსებული ნაპრალის გასამართლებლად საჭირო. ეს კი საქართველოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

– თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს ევროპასთან დაახლოებას ამერიკა უნდა ჩაუდგეს სათავეში? რისი გავლენა შეუძლია ამერიკას?

– ამერიკას შეუძლია უფრო აქტიურად ჩაერთოს საქართველოში ურთიერთობაში ჯოჯობარტ მნიშვნელოვან ევროპულ ძველებთან.

ნასთან, მბაბლითადა, გერმანიასთან. ამ მიზნის მისაღწევად მძი დიპლომატიური ენერჯია საჭირო. იმადი მაქვს, რომ ადმინისტრაციის ისარგებლავს ამ შესაძლებლობით, იძნება ეს რუსეთისთვის სიზნალის გაგზავნა, რომ საქართველოს ტერიტორიების უკანონო ანექსიისა და საქართველოს დასავლურ მისწრაფვაზე მუდმივი თავდასხმების მიუხედავად, რუსეთს საქართველოს პაღის გადაწყვეტაზე ვიტომ უფლება არ აქვს. ვფიქრობ, ამის გაკეთება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთან ურთიერთობისთვის, არამედ ევროპული პროექტის მომავლისთვისაც. ვფიქრობ, მომავლში რამდენიმე წლის განმავლობაში ამერიკას გამარჯვებები დასჭირდება და ეს სწორედ ერთ-ერთი ასეთი გამარჯვება შეიძლება იყოს.

– ამ კონტექსტში, როცა ამერიკის ლიდერობა შესუსტებულია, როგორ ხედავთ საქართველოს ნატოში განეწიანების პერსპექტივას?

– ვფიქრობ, ახლო მომავალში ეს რთული იქნება. ნატოში ეგზისტენციალური კრიზისია, რასაც ვნახვარ ამას რომ ვამბობ – მაგრამ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ დასმული შეკითხვები იწვევს ამერიკის ალიანსში სამომავლო ჩართულობასა და ზოგადად, ნატოს მომავალზე. ვფიქრობ, ნატომ არაერთხელ დაამტკიცა ის, რომ ამერიკისთვის უმნიშვნელოვანესი და უნიკალური აქტივია. სამწუხაროდ, სანამ ამ კითხვებს პასუხი არ გავცემა, ალიანსისთვის რთული იქნება საქართველოსკენ ნაბიჯის გადადგმა. თუმცა, ბოლო დროს მონტენეგროს ნატოში განეწიანება და ახლა მაკედონიაზე საუბარი იმის ნიშანია, რომ ალიანსის კარი ღია რჩება იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ნევრობისთვის მზად არიან და ამის სურვილი აქვთ. იმედი მაქვს, რომ ბუქარესტის სამიტის განცხადება საქართველოს ნევრობასთან დაკავშირებით, შესრულდება.

„RADIO VOICE OF AMERICA“ (აშშ)

აშშ რუსეთს ნავთობის მოპოვებაში გაუსწრებს

2018 წელს აშშ ნავთობის მოპოვებაში მსოფლიოს ერთ-ერთ ლიდერს – რუსეთს გაუსწრებს, – ასეთია OPEC-ის ყოველწლიური პროგნოზის შედეგები. 2018 წელს რუსეთი, ისევე როგორც 2017 წელს, დღეში 10,3 მლნ. ბარელ ნავთობს მოიპოვებს, აშშ-ს ნავთობმოპოვება კი წელს 10.5 მლნ.-ს მიაღწევს. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 9,4 მლნ. ბარელს შეადგენდა.

ექსპერტთა პროგნოზით, 2040 წლამდე რუსეთის ნავთობმოპოვება დღეში 10, 4 მლნ. ბარელის ფარგლებში იქნება, 2040 წლიდან კი – 10,1 მლნ.-მდე შემცირდება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში რუსეთი დღიურ ნავთობმოპოვებას 200 000 ბარელით შეამცირებს. CNBC News-ის ინფორმაციით, ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მომდევნო წლებში ინვესტიციები მიმართული იქნება არა მოპოვების ზრდაზე, არამედ არსებული დონის შენარჩუნებაზე, ხოლო საერთაშორისო სანქციების ხელს შეუშლის ინვესტიციებს ღრმანყლოვანი და ფიქლის ნავთობის მოპოვებაში.

ამ დროს აშშ-ში, OPEC-ის ვარაუდით, 2025 წლამდე ნავთობმოპოვება ყოველწლიურად გაიზრდება, კერძოდ, 2019 წელს აშშ მოიპოვებს 12,2 მლნ. ბარელს დღეში, 2025 წლისთვის კი – უკვე 13,4 მლნ.-ს. შემდეგ დაიწყება შემცირება – 2030 წელს 12,8 მლნ. ბარელი, 2035-ში კი – 11,4 მლნ. 2040 წელს აშშ-ს მოპოვება გაუტოლდება რუსეთის – 10,1 მლნ. ბარელი, შესაბამისად,



სადა, 2040 წელს აშშ-ს ნავთობმოპოვება გაიზრდება 2017 წელთან შედარებით 700 000 ბარელით.

სპეციალისტები ასევე ვარაუდობენ, რომ 2023-2040 წლებში, ქვეყნები, რომლებიც OPEC-ში არ შედიან, მათი წილი ნავთობის გლობალურ ბაზარზე შემცირდება 6,7 მლნ. ბარელით. ამ შემცირების თითქმის ნახევარი კი შტატებზე მოვა. რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ორჯერ მიმართა OPEC-ის ქვეყნებს ნავთობის ფასების დაუყოვნებლივ დაკლებასთან დაკავშირებით და ბაზრის გაგრძელების მოწოდებით. თუმცა კარტელის მთავარმა ქვეყანამ – საუდის არაბეთმა და მისმა უმსხვილესმა მოკავშირემ რუსეთმა ნავთობმოპოვების ზრდა და ფასების სწრაფი კლება გამოორიქეს. ფასის შემცირებას OPEC-ში და მისთან თანამშრომლობის რეჟიმში მყოფი სხვა ქვეყნებიც არ აპირებენ, რადგანაც ნავთობზე მაღალი ფასები მათ ინტერესებშიცაა.

PORSCHE ღიზალა მომუშავე ავტომობილებზე უარს ამბობს

გერმანული ავტომწარმოებლის Porsche-ს განცხადებით, კომპანია მთავარ ორიენტირს ჰიბრიდებისა და ელექტრომობილების წარმოებაზე იღებს და პარალელურად, დიზელზე მომუშავე ავტომობილებზე უარს ამბობს.

აღნიშნულ განცხადებას წინ უძღოდა Porsche-ს ერთ-ერთი უფროსი მენეჯერის დაკავება, რომელიც დიზელზე მომუშავე ავტომობილების სანვავის ტესტის გაყალბებაში იყო ეჭვმიტანილი. 2017 წლის მონაცემებით, Porsche-ს გაყიდვების 12%-იანი წილი დიზელზე მომუშავე ავტომობილებზე მოდიოდა.

კომპანიის განცხადებით, აღნიშნული გადაწყვეტილება „დიზელის დემონიზებას“ არ გულისხმობს: „ჩვენ ვხედავთ, რომ დიზელის ბაზარი მცირდება, ელექტრომობილებსა და ჰიბრიდებზე კი დიდი მოთხოვნაა“, აღნიშნა კომპანიის წარმომადგენელმა ოლივერ ბლუმმა.



საქართველოს რომელი კუთხე არ ისურვებდა უკვდავი გალაკტიონის სტუმრობას. სახალხო პოეტი თავისი შედევრებით ანცვიფრებდა მკითხველს, ჯერ არ მოსმენილი მოტივებით, რიტმებით, ინტონაციებით, კეთილზმონი სასწაულებით.

მის შემოქმედებაში ძალუმად იგრძნობოდა ცხოვრების თბილი სუნთქვა, სამყაროს მისტიკური აღქმა, მძაფრი რიტმებითა და ჟღერადობით ახალი მეტაფორული სახეების ძიება. ის გახდა უპირველესი პოეტი, რისთვისაც მას 1933 წელს სახალხო პოეტის წოდება და ყოველთვის გასამრჯელო დაუნიშნეს. სამი წლის შემდეგ უშუალოდ იმდენი იტაცდა დააჯილდოვეს.

თუმცა მალევე გადაუსახლეს მეუღლე, ოღონდ ოკუფაცია, რამაც ის დაალონა და ჩვეული ცხოვრების კალაპოტიდან ამოაგდო. ცხოვრებისა და შემოქმედების რთული ჟამი ედგა, როცა მან, 1948 წლის შემოდგომაზე, მიწვევა მიიღო სამეგრელოდან. დასთანხმდა, წვეოდა ეგრისის საფუძარზე აღმოცენებულ მშვენიერ ქალაქ სენაკს (მაშინდელი ცხაკაია), რომლის ღირსეულ შვილებს შალვა დადიანს, აკაკი ხორავას, ვალერიან გუნიას და სხვებს პირადად იცნობდა და მეგობრობდა მათთან.

იგი ადრევე - 1910 წელს ჩამოსული იყო სენაკში, როცა მისმა თბილისელმა სასულიერო სემინარიელმა მეგობარმა, უნიჭიერესმა „დემონმა“ - იგივე ქუჩუქავთარაძემ თავი მოიკლა და დასაფლავებაზე ჩამოვიდა ძველ სენაკში. მაშინ ოცი წლის ჭაბუკმა გალაკტიონმა სევდიანი ლექსი წაიკითხა და მეგობარი დიდხანს იგლოვა. მასვე მიუძღვნა ვრცელი მოგონება. და აი, თითქმის ორმოცი წლის გასვლის შემდეგ სახელოვანი მგოსანი კვლავ ეწვია სენაკს.

სექტემბრის მშვიდი დილა იდგა. რკინიგზის სადგურში ყვავილებითა და ოვაციით შეზღვენი პოეტს. სასტუმროში მცირე დასვენების შემდეგ ქალაქის ცენტრში სახელოვანი გიორგი ჭალადიდელის საფლავი თაიგულით შეამკო და გზა ეგრისის ნაქალაქარისკენ გააგრძელა. დაათვალიერა ჩვენი ერის წარსულის დიდებული ძეგლი. მგრძობიარე ხელით ესებოდა მრავალი საუკუნის წინათ გამოთლილ ქვებს. ამბობდა, ქართველი გამირობისთვის არისო გაჩენილი!..

უკან, ქალაქისკენ მობრუნებულმა, სოფელ ძველ სენაკში მოინახულა სემი-

გალაკტიონი სამეგრელოში



ნარიელი მეგობრის საფლავი. შეხვდა ქუჩუქავთარაძეს. გაიხსენა ყრმობის წლები, თქვა, რომ სურდა, ვრცელი მოგონება დაენერა „დემონზე“. სადილობის შემდეგ საზაფხულო თეატრში მიიწვიეს. ხალხს ვერ იტყვდა შემოდგომის მზით გამთბარი მიდამო. ლამაზად მორთულ სცენაზე სავარძელში ჩააბრძანეს.

სალამო მართლაც პოეზიის ნამდვილი დღესასწაული გახდა... წაიკითხეს პოეტის მრავალი ლექსი. ცხადია, ფაქტში სულის პოეტს სიხარულს ანიჭებდა მშვენიერების განცდა. სალამო კი ნამდვილად იყო მშვენიერი და წარმტაცი, რადგან მისი გამაცისკროვნებელი თავად გალაკტიონის გენია იყო.

სალამოზე გალაკტიონმა წაიკითხა სენაკში დაწერილი ორი ლექსი - „ორი ლელო“ და „მადლობა, დიდი მადლობა“; მკითხველს ვთავაზობთ ამ უკანასკნელს:

კაცს უგულობა შეაკრთობს, როგორც დღეს უსინათლობა,

გულწრფელი ყვავილებისთვის, მადლობა, დიდი მადლობა! მადლობა ახალგაზრდობას, ვაჟკაცებსა და ხნოვანებს, მე თქვენი სიხარულის გზა, მარადის დღეს ჩემი ჩანგი, თქვენი სმა, აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს! აღმავროთოვანებს!

ეს ლექსი პირველად ადგილობრივ გაზეთ „ავანგარდში“ 1948 წლის 23 სექტემბერს გამოქვეყნდა. მეორე დღეს სახალხო პოეტს შეხვედრა მოუწევს მოსწავლე-ახალგაზრდებმა. სამახსოვრო სურათი გადაიღეს, დღის მეორე ნახევარში კურორტ

„მენჯში“ წაიყვანეს და სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ სტუმრებს შეახვედრეს.

ორი ლამაზი, შემოქმედებითად დატვირთული დღე აჩუქა გალაკტიონმა სამეგრელოს. მკითხველი შეამჩნევდა, რომ ლექსში არის სტრიქონი - „ძირს ბნელი უსამართლობა!“ მაშინ, კომუნისტების ჰეგემონობის პირობებში, როცა ყველაფერი თითქოს მშვენიერი იყო, ეს ტაეპი არ უნდა დაენერა მგოსანს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მის პირად ცხოვრებას, მის მიერ გადატანილ საშინელებებს და თუ ამას მივუმატებთ გალაკტიონის მებრძოლ ხასიათსა და მის დამოკიდებულებას საბჭოთა სამართლისადმი, ცხადი შეიქნება, რომ პოეტმა დაენერა ის, რასაც გრძნობდა და რაც პირადად განიცადა.

მისი სულიერი ტანჯვის მიზეზი მეუღლის ოღონდ ოკუფაციაზე ბედისწერა იყო. პირველად ი. ოკუფაცია ტროცკიზმში დასდეს ბრალი და უზბეკეთში გადაასახლეს. 1932 წელს ოღონდ დაბრუნდა გადასახლებიდან, მაგრამ სამი წლის შემდეგ ხელმოკლე დააპატიმრეს და ამჯერად ოროილის ოლქში გადაასახლეს. სასტიკი აღმოჩნდა მისთვის საბჭოთა სამართალი. 1941 წელს სამხედრო კოლეგია მას უშუალოდ სასჯელი, სიკვდილით დასჯა განუსაზღვრა და 157 პატიმართან ერთად დახვრიტეს.

გალაკტიონს უთხრეს, რომ მისი მეუღლე რეაბილიტირებულია და მალე ჩამოვაო. მწარედ მოატყუეს.

სწორედ ამ ოჯახური ტრაგედიის შემდეგ ეწვია ის სამეგრელოს. ეცადა, საზოგადოების წინაშე წარმდგარიყო, როგორც სახალხო მგოსანი, გულში დანთებული ლადარი დაეფარა, ყოფილიყო გარეგნულად მშვიდი. მაგრამ სამადლობელ ლექსში მაინც გაჟღერდა ის განწყობა, რასაც შინაგანად განიცდიდა.

ცხადია, უდიდესი პოპულარობისა და თავყანისცემის მიუხედავად, გალაკტიონმა სიცოცხლე სულიერ სიმარტოვეში გაატარა. ამან გარკვეული კვალი დაამჩნია მის შემოქმედებას.

სამეგრელოში მგოსნის მობრძანება იყო ქართული პოეზიის ნამდვილი ზემი, რომელსაც დღესაც კეთილად იგონებს ნაამაგარი მოსახლეობა.

პირის დავითიანი,
აკ. წერეთლის სახეობის
პრემიის ლაურეატი.
სენაკი.

კონკურსი - 2018

ჩვენს ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობა“

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ აცხადებს „ერთი მოთხრობის“ კონკურსს რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. კონკურსის მიზანია: ქართულ ლიტერატურულ სივრცეში საუკეთესო ნაწარმოებებისა და ავტორების გამოვლენა, ახალგაზრდა ავტორთა შემოქმედების წარმოჩენა - პოპულარიზაცია და ლიტერატურულ პროცესებში წვლილის შეტანა.



კონკურსზე ნაწარმოების წარდგენის უფლება აქვს ნებისმიერი ასაკის პირს. კონკურსზე დაიშვება მხოლოდ ცოცხალ ავტორთა ნაწარმოებები.

კონკურსზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ნაწარმოები - მოცულობით არა უმეტეს 5 (ხუთი) პირობითი ნაბეჭდი გვერდისა.

საპრემიო ფონდი შეადგენს 1000 ლარს.

პირველი პრემია - 500 ლარი
მეორე პრემია - 300 ლარი
მესამე პრემია - 200 ლარი

კონკურსის მონაწილეები 1 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე აგზავნიან გამოუქვეყნებელს (შესაძლოა, იყოს გამოქვეყნებულიც, ოღონდ არა უახლოესი ორი წლის განმავლობაში) საკონკურსო ნაწარმოებს. ფსევდონიმით გაგზავნილი ნაწარმოები არ განიხილება. ნაწარმოები არ უნდა იყოს პრემირებული.

თითოეული მონაწილისგან მიიღება ერთი ნაწარმოები, რომლის თემატიკაც არ არის შეზღუდული. ნაწარმოების მიღების დადასტურება ავტორს გაეგზავნება ელექტრონულ ფოსტაზე.

განსახილველად დაიშვება მხატვრული ჟანრის (ნოველა, მოთხრობა) ნაწარმოები, რომელიც აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. საკონკურსო ნაწარმოები (ერთი მოთხრობა, ან ნოველა) 2018 წლის 5 ნოემბრამდე უნდა გაიგზავნოს ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ რედაქციის ელექტრონულ ფოსტაზე: aneuli@mail.ru

საკონკურსოდ უნდა გადაიგზავნოს ნაწარმოები, ავტორის მოკლე ბიოგრაფია, ფოტოსურათი, მისამართი და ტელეფონი. ნაწარმოები უგვარსახელოდ გადაეგზავნებათ ჟიურის წევრებს.

კონკურსზე დაშვებულ ყველა ნაწარმოებს საკონკურსო კომისია აფასებს. შეფასებები არ ქვეყნდება და კონკურსის მონაწილეებს არ ეგზავნებათ.

რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის გამარჯვებულებს პრემია გადაეცემათ ყოველწლიურად, 20 დეკემბერს, რევაზ ინანიშვილის დაბადების დღეს.

ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულთან“ არსებულ რევაზ ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში გამარჯვებულ მწერლებს წელს პრემიები მეცხრედ გადაეცემათ.

კონკურსს აფინანსებს თბილისის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

პროექტის მხარდამჭერია საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანება.

რაც გეზი ენა იცის კაცმა...

„უცხო ენაზე თავისუფლად ლაბარაკით სწავლა არც ისე რთულია, როგორც გეგონებთ“, - აცხადებს ფილოლოგი ანა კუზინა, რომელმაც ჩინურ ენაში მსოფლიო კონკურსი მოიგო. ამის მისაღწევად კი ქალიშვილი რამდენიმე წლის დაცვას გვირჩევს:

- უმჯობესია ყოველდღე 20-20 წუთი მეცადინეობა, ვიდრე 3 დღეში ერთხელ ერთი საათის განმავლობაში;

- იკითხეთ ხმამაღლა - გარშემო მყოფებთან ურთიერთობის დროს ჩვენ ხომ არ გჭურჩულებთ;

- ტექსტები დაიზეპირეთ, ვინმემ შეიძლება თქვას - დაზეპირება ცუდი მეთოდიაო, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნებისმიერი ენა - პირველ ყოვლისა, ესაა შაბლონების ნაკრები, რომელთა საყრდენ წერტილებად გადასაქცევად, საჭიროა მათი ტვინის ქერქზე „ჩანერა“;

- ეცადეთ, ენის მატარებელი მოძებნოთ და მასთან ტელეფონით ისაუბროთ, ასევე სარგებლის მომტანია პირადი ურთიერთობაც, მაგრამ ამ შემთხვევაში, ნათქვამის გაგებას აადვილებს არავერბალური ნიშნები, ტელეფონით საუბრისას ჩვენ მხოლოდ სმენის იმედად ვართ.

- უყურეთ უცხოენოვან ფილმებს, შეგიძლიათ, სუბტიტრებიანი შეარჩიოთ, თან ცალკეული წინადადებებიც ჩაინერეთ;

- ნასწავლის გამეორება საჭიროა არა თვეში ერთხელ, არამედ ყოველდღე. სიტყვებიც და წინადადებებიც მრავალჯერ გაიმეორეთ, ხმამაღლა წარმოთქვით, ქალღმერთს გადაიტანეთ.



❶ ძიუდო

„ოქროს“ ფინიში

გუშინ ბაქოში ძიუდოსტთა მსოფლიო ჩემპიონატზე მიმეწონაში (+100) შესანიშნავი სტარტი აიღო საქართველოს ნაკრების წევრმა გურამ თუშიშვილმა. ქართველმა ფალანგმა დილის პაექრობები წაუგებლად ჩამთავრა: პირველ ნომრად განთესილმა 23 წლის სპორტსმენმა ჯერ რუმინელი გოლიათი დანიელ ნატეა დაამარცხა ვადამდე, შემდეგ მისი ბედი წუთსა და 20 წამში უკრანელმა იაკვი ხამომაძე გაიზარა. მეოთხედფინალში ჰოლანდიელი როი მეიერი დაჯაბნა წმინდად. თუშიშვილი ნახევარფინალში მონღოლ დუურენბაიარ ულზიბაიარს უწევდა მეტოქეობას. მეორე ნახევარფინალში უზბეკი ბეკმურად ოლტიბოევი და აზერბაიჯანის ნაკრების წევრი უშანგი კოკაური დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ორივე ქართველმა ფალანგმა ბრწყინვალედ იჩივდა, მეტოქეებს იპონით სძლია



და აზერბაიჯანულ ტატამზე ქართული ფინალი გათამაშდა.

აქამდე გამართული მათი ორივე შერკინება თუშიშვილს ჰქონდა მოგებული.

ფინალურ შეხვედრაში გურამ თუშიშვილმა იპონით დაამარცხა უშანგი კოკაური.

გივი ბაბუა

❷ რაგბი ჩვენი თაგაშია!

მატება „ბორჯღალოსანთა“ შტაბში

ინგლისელი სპეციალისტი გრეგემ როუნთრი, რომელიც 2007-2015 წლებში მშობლიური ნაკრების შერკინების მწვრთნელი იყო, 2019 წლის მსოფლიო თასის ბოლომდე მილთონ ჰეინის ასისტენტი იქნება და „ბორჯღალოსანთა“ შერკინებას განვრთნის.

რაგბის კავშირის გამგეობამ როუნთრი აღნიშნულ თანამდებობაზე დაამტკიცა, რის შემდეგაც სრკ-ს პრეზიდენტმა გოჩა სვანიძემ, „ბორჯღალოსანთა“ თავკაცმა მილთონ ჰეინმა და რაგბის კავშირის მაღალი სპორტული მიღწევების დირექტორმა ბაჩო ხურციდემ გრეგემ როუნთრი ჟურნალისტებს წარუდგინეს.

გოჩა სვანიძე: „წარმოგიდგინთ „ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბის ახალ წევრს, ინგლისელ შერკინების სპეციალისტ გრეგემ როუნთრის. ის არის მაღალი რეპუტაციისა და კვალიფიკაციის მორაგბე და მწვრთნელი, რაზეც მისი ბიოგრაფიაც მეტყველებს.“

ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხში ბოლო დროს გარკვეული რეგრესი შეინიშნებოდა, რასაც ზაფხულში ავსტრალიელ მწვრთნელთან განშორება მოჰყვა და ნაკრების შერკინების

ლოდები უშუალოდ სანკრ-თელ პროცესში ჩართვას.“

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, რის გაუმჯობესებას გეგმავს როუნთრი მომავალ მსოფლიო თასამდე, რაზეც გრეგემ უპასუხა: „საქართველოს ნაკრების თამაშები, რა თქმა უნდა, ნახში მაქვს, მაგრამ დეტალური ანალიზი ჯერ არ ჩაგვიტარებია. ზოგადად შემიძლია ვთქვა, რომ აუცილებლად გასათვალისწინებელია ტრავმები და სელექცია. ის ბიჭები, რომლებსაც ტრავმირებულ მორაგბეთა შეცვლა მოუწევთ, მზად უნდა იყვნენ საერთაშორისო რაგბისთვის.“

28 სექტემბერს მე და მილთონი საფრანგეთში მივმგზავდებით, სადაც შეხვედრით მოთამაშებებს და მათ მწვრთნელებს. ბიჭებთან მუდმივი კონტაქტი მექნება სანაკრებო თამაშებს შორის არსებული პაუზისას. ფორვარდების თამაში მხოლოდ სტატისტიკა და მიწა არაა. მნიშვნელოვანია, რომ ისინი სწრაფად დაბრუნდნენ თამაშში პოზიციების მიხედვით.“

მილთონ ჰეინმა და გოჩა სვანიძემ განაცხადეს, რომ „ბორჯღალოსანთა“ სამწვრთნელო შტაბში გრეგემ დიანი კონტრაქტით არავის დამატება აღარ იგეგმება. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს კონკრეტული მიმართულების სპეციალისტთა მოწვევა:

მილთონ ჰეინი: „ამ ეტაპზე შემიძლია გითხრა, რომ სხვა მწვრთნელების დამატების საჭიროება არ გვაქვს. შეტყვის მწვრთნელად მე დავბრუნდები და თამაშის ამ ასპექტის გაუმჯობესებაზე ვიმუშავებ. ტაქტიკური და ტექნიკური თვალსაზრისით, თუ ვინმე დაგვირდება, შესაძლოა მოკვდეთ კონტრაქტზე ვინმე დავითანს-მით.“

გოჩა სვანიძე: „ჩვენი პოლიტიკა ასეთია – წინასწარ არ იგეგმება მწვრთნელთა რაოდენობა. საჭიროების მიხედვით რა აუცილებლობაც გვექნება, ამის მიხედვით მოვახდენთ დროებით თუ გრძელვადიან პერსპექტივაში საჭირო სპეციალისტის დამატებას.“

კობა კობახიძე

❸ აბტივობა

პერსონალის ჯილდო უეფასთან

ფეხბურთის და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის და მასში ჩართული ადამიანების რიცხვის ზრდის მიმართულებით განსაკუთრებული დამსახურებისთვის უეფამ მის წევრ ქვეყნებს შორის საქართველო გამოარჩია და ვერცხლის ჯილდო გადასცა.

„მოყვარულთა ლიგა“ – სწორედ ამ პროექტმა მოიპოვა საუკეთესო მეორე ადგილი და კიდევ ერთი საერთაშორისო აღიარება ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის მხრიდან.

ვერცხლის ჯილდო, რომელიც საქართველოს წელს პირველად სწორედ მასობრივი ფეხბურთის კვირეულის ფარგლებში გადაეცემა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან UEFA-ს ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ ფეხბურთის მასობრიობის ზრდაა.

„საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ წელს პირველად მიიღო ვერცხლის ჯილდო მასობრივი ფეხბურთის განვითარებისათვის საუკეთესო პროექტის კონცეფციისთვის. როგორც მოგეხსენებათ, დღევანდელ რეალობაში ფეხბურთში ჩართული ადამიანების რიცხვის ზრდა არის აღმოსავლეთ ევროპის მთავარი გამოწვევა. შესაბამისად, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის სწორედ ეს მიმართულებაა განსაკუთრებით პრიორიტეტული. არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ საფეხბურთო პირამიდის საყრდენი სწორედ მასობრივი ფეხბურთია და სწორედ ამ საფეხურიდან უნდა დავიწყოთ განვითარება. უეფას ჯილდო დასტურია იმისა, რომ პროექტი, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა, ნამდვილად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფეხ-

ბურთის განვითარებაში,“ – აღნიშნა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნიკა ჯღარკავამ.

პროექტი „მოყვარულთა ლიგა“, რომელმაც აღიარება დაიმსახურა, საქართველოში 2016 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანი ფეხბურთში რაც შეიძლება მეტი მოყვარულის ჩართვა და ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესის პოპულარიზაციაა.

ამ დროისთვის „მოყვარულთა ლიგაში“ მთელი ქვეყნის ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით 400 გუნდი თამაშობს, რაც ნიშნავს, რომ რეგულარულად 11x11-ზე ფორმატის ფეხბურთს 8000-ზე მეტი მოყვარული მოთამაშე ჰყავს.



უეფას მასობრივი ფეხბურთის ჯილდოს უეფასთან

აღნიშნული ჯილდო 2010 წლიდან ყოველწლიურად გადაეცემათ ეროვნულ ასოციაციებსა თუ ფედერაციებს სხვადასხვა კატეგორიებში, მათ შორის – საუკეთესო ლიდერი, საუკეთესო კლუბი და საუკეთესო პროექტი.

ჯილდო მასობრივი ფეხბურთის მიმართულებით განსაკუთრებული დამსახურებისათვის გადაეცემათ საუკეთესოებს, რადგან უეფას მიზანია, რომ ფეხბურთის მასობრიობა არის გადამწყვეტი სფეროს განვითარებისა და წარმატებისთვის.

საუკეთესო პროექტის ჯილდო მიზნად ისახავს გამოარჩიოს ინიციატივები, რომელიც წარმოადგენს ინოვაციას, აქვს სოციალური დატვირთვა და ემსახურება ფეხბურთში ადამიანების ჩართულობის ზრდასა და შენარჩუნებას და მხარს უჭერენ კამპანია „UEFA RESPECT-ის“ პრინციპებს.

გიორგი შოთაძე

❹ ჭადრაკი

მეორე ტურმა სისურპრიზები უამოგვთავაზა

ბათუმში მიმდინარე 43-ე საქადრაკო ოლიმპიადის მეორე ტურმა რამდენიმე სისურპრიზი შემოგვთავაზა: მსოფლიოს ვაჟთა კლასიფიკაციაში 2827 პუნქტით მეორე ადგილზე მყოფი ფაბიანო კარუანა, რომელიც ამერიკელთა პირველ დაფაზე თამაშობს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრ ნოე თუთისანთან (2471) წაგებას ძლივს გადაურჩა. მეტოქენი 49-ე სვლაზე დაზავდნენ. საქართველოს ვაჟთა პირველმა ნაკრებმა არცთუ ისე ძლიერ ნორვეგიასთან ქულა გაიყო. ქალებში ასპრეზობის რეიტინგავფორმირი რუსეთი უზბეკეთთან დამარცხდა – 1.5:2.5, ხოლო საქართველოს გოგონათა ნაკრები გერმანიას დაუზავდა – 2:2. პირველ დაფაზე ნინო ხომერტიკა შავი ფერებით ცნობილ დიდოსტატ ელიზაბეტ პეტცს აჯობა.

ქალები
საქართველო (1)-ნორვეგია 4:0 (ლელა ჯავახიშვილი – ოლგა დოლჟიკოვა 1:0, ნინო ბაციაშვილი – ელენ ჰაგერატიერი 1:0, ბელა ხოტენაშვილი – შეილა სახი 1:0, მერი არაბიძე – მონიკა მაჩლიკი 1:0); **შვედეთი – საქართველო (2) 0.5:3.5** (ინა აგრესტი – სალომე მელია 0.5:0.5, ჯესიკა ბეგსტონი – ინგა ჭარხალაშვილი 0:1, ანუელიკა ფრენსონი – სოფიო გვეტაძე 0:1, მარგარიტა ზარიტოვსკაია – მირანდა მიქაძე 0:1); **გერმანია – საქართველო (3) 2:2** (ელიზაბეტ პეტცი – ნინო

ხომერტიკი 0:1, ფილიპ ოსმანოვა – მარიამ ჯანიაშვილი 1:0, სარა პოლოტი – ლიდე ქორიძე 0.5:0.5, იუდიტ ფოუსი – თამარ ესაძე 0.5:0.5)... **თურქმენეთი – უკრაინა 1.5:2.5, ინდოეთი – ვენესუელა 4:0, აზერბაიჯანი – ბელგია 4:0, უნგრეთი – მაკედონია 2.5:1.5, უზბეკეთი – რუსეთი 2.5:1.5, ჩინეთი – კოლუმბია 3:1, სომხეთი – ავსტრია 3:1.**

ვაშაშვი
ნორვეგია-საქართველო (1) 2:2 (არიან ტარი – მიხეილ მჭედლიშვილი 1:0, ოლსენ ურკედალი – ივან ჩეპარინოვი 0:1, იოჰან – სებასტიან კრისტინსენი – ლევან ფანცულაია 0.5:0.5, იოჰან სალომონი – დავით ჯოჯუა 0.5:0.5); **ინა – საქართველო (2) 1.5:2.5** (ვანგ გლადი – ლუკა პაიჭაძე 0.5:0.5, სიმონ ბუკერი – დავით მაღალაშვილი 0.5:0.5, ბიორნ მოლერ ოქსნერი – თორნიკე სანიკიძე 0.5:0.5, იონას ბიერე – გიგა ყუფარაძე 0:1); **საქართველო (3) – აშშ 1.5:2.5** (ნოე თუთისანი – ფაბიანო კარუანა 0.5:0.5, ლუკა ობოლაძე – ვესლი სო 0:1, ნიკოლოზ პეტრიაშვილი – სამუელ შანკლენდი 0.5:0.5, ნიკოლოზ კაჭარავა – რეი რობსონი 0.5:0.5)... **რუსეთი – ისლანდია 3:1, ურუგვაი – საფრანგეთი 0:4, ისრაელი – კოსტა რიკა 3.5:0.5, იტალია – აზერბაიჯანი 1:3, ინდოეთი – ავსტრია 3.5:0.5, უზბეკეთი – უკრაინა 1.5:2.5, სომხეთი – ყაზახეთი 2.5:1.5.**

ლევან ცინცაძე




სიყვარულს კალსა შენსა!

მაღე შეხვედრამდე!

მეზმანა, თითქოს მერსეულში, ბიძის საფლავზე ვიყავი, იქაურობას ეკალ-ბარდი მოსდებოდა, საფლავის ქვა ნაქცეულიყო, შეფუთვებულმა საფლავს წარისგან გასუფთავება დავუწყე, თითქოს ეკალმა გამიკანრა და სისხლი დამადინა. გამომეღვიძა, შუალამე იდგა, ხელი წინადღის ნაიარვის გამო მტკიოდა – რალაცას გამოვედე.

დარდიანმა ფიქრებმა აღარ დამაძინეს. ბიძას – შალვა ჯახუას და მამაჩემს უმაღლესი განათლება ახალი მიღებულ იქონდათ, როცა ერთად გაინვიეს მეორე მსოფლიო ომში, მამა სტალინგ-



რადში დაიღუპა, ბიძამ კი ბერლინამდე სდია მომხვედრეს. ომიდან დაბრუნებული მა აფხაზეთს მიაშურა, ჯერ პრესაში მუშაობდა, შემდეგ კი მერსეულში – კოლმეურნეობის თავკაცად მიაველინეს. ასე დამევიდრდა ამ კურთხეულ მინაზე და ულამაზესი აფხაზი ქალი – ეკატერინე ეშბა შეირთო ცოლად, ორი ვაჟი-კაცი გამოზარდეს, აფხაზებთან ნათესაური და მეგობრული კავშირი ჰქონდათ, მეც არაერთხელ მომიღწენია მათთან ერთად, კარგი ძმობა იცოდნენ.

ჩემი მამიდაშვილი ნაზი წონწონავა და მისი მუდღე – პედაგოგები, გულრიფშის სასაფლაოზე განისვენებენ. სამწუხაროდ, მათი ბიჭები რუსეთში არიან გადახვეწილი, ორ-ორსართულიანი სახლები კი დრომ მოარყია.

აფხაზეთი ჩემთვის ძალზე მშობლიური იყო, ულამაზესი მოგონებები მაკავშირებს, თითქმის ყოველ წელს მის განუმეორებელ კურორტებზე ვისვენებდი, დაუფინყარია აგუძერას ზღვისპირეთი, წინწარში ჩაფლული, ბიჭვინთა – ბევრი ჩემი მოთხრობა იმის ცნებებში დაინერა.

„აფხაზეთო ჩემო“, დღე ისე არ გავა, ჩემს სულში რომ არ აღილინდეს ეს მართლაც საგალობელივით ტკბილი სიმღერა და ოცნებით არ მოვიარო ის ადგილები, სადაც ლაღად ფეხი დამიდგამს, აფხაზ ძმობილებთან ერთად პური გამოიტეხია, სადღეგრძელო მიტევაძს, ჭირიც და ლხინიც ერთად გაგვივლია ჩემთვის უკვე საუკუნის კარს მიბჯენილი წლები.

უფალს ვევედრები, რომ ჩემი აფხაზეთი ფრთებით დაიფაროს.

არა მარტო წასულთა საფლავები მესიზმრება, არამედ ზღვისპირეთიც მწვანით თავმოქოჩრილი, მთები, სადაც არა მარტო გვარისანი, არამედ სისხლბორცისანიც, დღესაც იქ ცხოვრობენ. ჩვენ შორიდან ვეფერებით, ვესმატკბილებით ერთმანეთს და მტკიცედ მჯერა, მაღე შეხვედრებით კიდევ, ჩავებუტებით, სიხარულის ცრემლებით მოვრწყავთ ჩვენს სამომ-საბაღნარე მხარეს.

ჩვენ ხომ ერთნი ვართ, და უძველესი დროიდან ბევრჯერ განგვიმტკიცებია ძმობა, ერთად აგვიყვავებია ჩვენი წმინდა, სათაყვანო მამული.

გივი ჯახუა,
რუსთავის საპატიო მოქალაქე, მწერალი,
რესპუბლიკის დამსახურებული
კურნალისტი.



აუზ მხარს უჭერს უკრაინისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას

შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში წერია, რომ ამერიკა პატივს სცემს უკრაინელი რელიგიური ლიდერებისა და მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის მისწრაფებას ავტოკეფალიისკენ.

„შეერთებული შტატები მტკიცედ უჭერს მხარს აღმსარებლობის თავისუფლებას, მათ შორის რელიგიური ჯგუფების თავისუფლებას, თავად მართონ საკუთარი რელიგია მათი შეხედულებისამებრ და ხელისუფლების ჩარევის გარეშე“, – წერია განცხადებაში.

გამოვესტავით აფხაზეთის ქათამკვლელები ორი დღის უფლის გაგას!

ანზორ დანელია: თავს პიხრი წყალობის მქონეთა წინაშე!

აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთში“ პროვოცირებული ქათამკვლელობა ომებმა უამრავი ახალგაზრდის, და არა მარტო ახალგაზრდის, სიცოცხლე შეინირა! დაღუპულებს დარჩათ ოჯახები (მშობლები, მეუღლები, შვილები), რომლებიც მიიმე სოციალური მდგომარეობის გამო საჭიროებენ სერიოზულ მატერიალურ და სულიერ დახმარებას!

დღეს, როგორც არასდროს, წინა პლანზე იწვევს ჩვენი ძირძველი კუთხეების, უფრო სწორად აფხაზი და ოსი თანამოქმედების დაბრუნების იდეა! აგრეთვე, ბრძოლებში (აქეთაც და იქითაც, რომელიც გამეორეს 2008 წლის 8 აგვისტოს) ათასობით გმირულად დაღუპული მებრძოლის სახელის უკვდავსაყოფად და მათი ოჯახების წევრთა სოციალური დაცვის საკითხები. ამას ემატება იმ უბედურებების დროს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ათი ათასობით დევნილის საკუთარ სახლებში დაბრუნებაზე ზრუნვა!

ამ კეთილშობილური მიზნების განხორციელების საქმეში თავისი მოქმედებითი წვლილის შესატანად დაფუძნდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპული მებრძოლების ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში მათი „სანთელი“! ფონდის დამფუძნებელია ანზორ ალექსანდრეს ძე დანელია, ორი დაღუპული მებრძოლის მამა! ხოლო ფონდის გამგეობის წევრია დაღუპული მებრძოლის ირაკლი დანელიას შვილი გიორგი დანელია!

ფონდის ძირითადი მიზნებია:

- დაღუპულების უმწიფო ოჯახების ეტაპობრივი დახმარება.
- დაღუპულების სწავლაში წარჩინებული შვილებისათვის სტიპენდიის დანიშვნა.
- დაღუპულების შვილებისთვის სწავლის საფასურის გადახდა, შესაძლებლობის ფარგლებში.
- დაღუპულების ოჯახების წევრების მკურნალობისათვის ფინანსური დახმარება.
- ქვეყნის ერთიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული მებრძოლების სახელზე ახალი მემორიალების მოწყობა რეგიონებში, მათი დაბადების ადგილებზე, ანუ მათ სამშობლოში!
- პრესამასხურის დაარსება და გაზეთის გამოშვება.
- დაღუპულების ხსოვნის მუზეუმის დაარსება.

როგორც ფონდის სახელწოდებიდან ჩანს, იგი დასაწყისში იარსებებს შემოწირულობებით! ხოლო შემდეგ საქმიანობას გააგრძელებს ფონდის მიერ შექმნილი დამხმარე სანარმოებისგან მიღებული შემოსავლებით.

ტრადიციულად, საქართველოს არასოდეს ჰკლებია ქველმოქმედი, კეთილი, მონყალე, ანუ, როგორც სულხან-საბა განმარტავს „წყალობის მქმნელი“ ადამიანები! ამის დასტურად ზუბალაშვილებისა და სარაჯიშვილების საყოველთაოდ ცნობილი გვარებისა და მათ მიერ განხორციელებული ისტორიული პროექტების გახსენებაც კმარა. სწორედ ასეთ, სიკეთისა და სამადლო საქმის მქმნელ პიროვნებებზე წერს დიდი ილია: „მადლისმყოფელის წინაშე ადამიანი უნებლიეთ იხრის თავს, იყრის მუხლსა!“

ქველმოქმედები არც დღეს აკლია საქართველოს! ამდენად, ვიმედოვნებ, რომ შეძლებისდაგვარად თანადგომას, შემწეობას და დახმარებას არ დაიშურებთ ფონდ „სანთელისთვის“. თქვენს წვლილს შეიტანთ მის გაძლიერება-განმტკიცებასა და მისი კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში. თქვენი თანადგომა იქნება კიდევ ერთი ანთებული სანთელი მიძღვნილი მათი უმანკო ხსოვნისადმი!

ჩვენი რეკვიზიტებია:

ანგარიშის მიმღები: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლებში დაღუპული მებრძოლების ხსოვნის უკვდავყოფის საქმეში მათი „სანთელი“.

ანგარიშის ნომერი: GE67LB0115114294158000

ანგარიშის ვალუტა: ლარი

მიმღების ბანკის დასახელება: სს ლიბერთი

ბანკი

მიმღები ბანკის SWIFT კოდი: LBRTGE22

ანგარიშის ნომერი: GE40LB0115114294158001

ანგარიშის ვალუტა: USD

მიმღები ბანკის დასახელება: სს ლიბერთი

ბანკი

მიმღები ბანკის SWIFT კოდი: LBRTGE22

ანგარიშის ნომერი: GE13LB0115114294158002

ანგარიშის ვალუტა: EUR

მიმღები ბანკის დასახელება: სს ლიბერთი

ბანკი

მიმღები ბანკის SWIFT კოდი LBRTGE22

ანგარიშის ნომერი: GE13115114294158003

ანგარიშის ვალუტა: RUB

მიმღები ბანკის დასახელება: სს ლიბერთი

ბანკი

მიმღები ბანკის SWIFT კოდი: LBRTGE22

პატივისცემითა და კეთილი სურვილებით,

ანზორ დანელია.

571 22 66 34

სსიპ - შერდინანდ თავაძის მეთაურობისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს

შემდეგი თანამდებობის დასაკავებლად

1. ტექნიკოსი - 1 ერთეული (თვითგავრცელებაში მდებარე ტექნიკური სინთეზის ლაბორატორიაში)

2. დამლაგებელი - 1 ერთეული
კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge))
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია /CV
4. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-შერდინანდ თავაძის მეთაურობისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე - ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. #10, ოთახი #115 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2018 წლის 22 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრის ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის (სამუშაოს აღწერა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები) ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776;



ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მეუღლის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობისთვის ბრალდებული ნ.ი. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ნ.ი. ერთი წლის მანძილზე არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, სისტემატური შეურაცხყოფის გზით ფსიქოლოგიურად ძალადობდა მეუღლეზე. 2018 წლის 18 ივლისს, ნ.ი-მ ეჭვიანობის ნიადაგზე, მეუღლეს - ი.ი.-ს შვილის თანდასწრებით თავისა და მკლავის არეში მუშტი დაარტყა.

სამართალდამცველებმა ნ.ი. 2018 წლის 20 ივლისს დააკავეს. ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ ნ.ი. დამნაშავედ ცნო წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად 1 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.



„თბილისობა“ - 2018

დედაქალაქის მერია „თბილისობა 2018“-სთვის ის ადგილები შეარჩია, სადაც გარევაჭრობა ნებადართული იქნება.

როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა, ეს ადგილები იქნება:

- ჩუღურეთში - ხეთაგუროვის სკვერიდან ბარათაშვილის ხიდამდე ტერიტორია;
- სამგორში - ვიქტორ კუპრავას ქუჩის №10, ე.წ. სვანების ბაზრობის ტერიტორია;
- გლდანში - ხიზანიშვილის ქუჩაზე, გლდანის პარკსა და პოლიციის შენობას შორის არსებული სივრცე;
- დიდუბეში - სტანისლავსკის ქუჩაზე, „დიდუბე პლაზას“ მიმდებარე ტერიტორია, ასევე, დიღმის მასივში, პაიჭაძის ქუჩა №1-ში, სკვერის მიმდებარე ტერიტორია.
- საბურთალოზე - სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია;
- ვაკეში - გეგეშიძის ბაღი.

მისივე თქმით, აღნიშნულ ტერიტორიებზე საკუთარი პროდუქციის წარმოდგენის საშუალება ნებისმიერ ადამიანს ექნება.

„ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, საკუთარი პროდუქცია ამ სივრცეში წარმოადგინოს. მათ ექნებათ შესაძლებლობა, აღნიშნულ ტერიტორიებზე შევიდნენ და თავიანთი პროდუქცია გაყიდონ“, - განაცხადა კახა კალაძემ.

„თბილისობა“ წელს, 6-7 ოქტომბერს გაიმართება.

უღვათაუბი ლისენზიის მქონე ტაქსის მძღოლებისთვის

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, პირველი ოქტომბრიდან, ლიცენზიის გარეშე ტაქსის მომსახურების შემთხვევებზე მერიას მკაცრი რეაგირება ექნება.

როგორც კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ტაქსების რეგისტრაცია გრძელდება და ამ ეტაპზე, 6 200-ზე მეტი ნებართვაა გაცემული.

„მინდა, ყველა თავიდანვე გავაფრთხილო, რომ ვისაც ნებართვა არ ექნება, ძალიან მკაცრი მიდგომები იქნება - ჯარიმა 200 ლარს შეადგენს. ნებართვის ერთი წლის საფასური ჩვეულებრივი, შიგანვისძრავიანი ავტომობილებისთვის 100 ლარი იქნება, ჰიბრიდებისთვის - 50 ლარი, ხოლო ელექტროძრავიანი ავტომობილებისთვის - უფასო“, - განაცხადა კახა კალაძემ.

დედაქალაქის მერმა იმ პრივილეგიებზეც ისაუბრა, რომელსაც ლიცენზიის მქონე ტაქსის მძღოლები მიიღებენ.

„ქალაქში მათთვის გამოიყოფა სპეციალური, უფასო ადგილები პარკირებისთვის. გარდა ამისა, მათ საკუთარ ავტომობილებზე გამოყოფილი ექნებათ კონკრეტული ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება რეკლამის განთავსება და რა თქმა უნდა, იქიდან შემოსული თანხა იქნება მათი პირადი საკუთრება. ამასთან, ტაქსის მანათობელი, რომელსაც თბილისის მერია დაამზადებს, მათ უფასოდ გადაეცემათ. ცხადია, დაზიანების ან გატყვევის შემთხვევაში, მათ ამის ვიდრე მოუწევთ“, - აღნიშნა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა ტაქსების რეფორმის მეორე ეტაპზეც ისაუბრა, რომელიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან შევა ძალაში.

„მინდა, ასევე გითხრათ, რომ ჩვენ ვმუშაობთ ვიზუალურ სტანდარტზე, რომელიც 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან იქნება სავალდებულო. ეს უკვე მეორე ეტაპია. აქ საუბარია ფერზე, ჩვენ ძალიან ბევრი ვიმსჯელებთ ამასთან დაკავშირებით და გადავწყვიტავთ, რომ თეთრი ფერი იყოს, რაც 2019 წლის ოქტომბრიდან სავალდებულო იქნება. ასევე, 2019 წლის ოქტომბრიდან სამკარიანი და მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ამ სერვისის განვითარებას ვერ შეძლებენ“, - განაცხადა კახა კალაძემ.



იტალიაში საქართველოს მოქალაქე მალაზია ერთი წლის შვილთან ერთად გაქურდა

იტალიის ქალაქ ტრიესტეს მედიის ინფორმაციით, გამყიდველმა შენიშნა, რომ მამაკაცი, რომელსაც თან ერთი წლის შვილი ჰყავდა, ბავშვის ტანსაცმელს იპარავდა. გამყიდველმა მისი შეჩერება სცადა, თუმცა მამაკაცმა ეტლი დააგდო და გაქცევა სცადა.

მამაკაცის შეჩერება ჯერ გამეულებმა, შემდეგ კი პოლიციამ შეძლო.

პოლიციის ინფორმაციით, მამაკაცმა 330 ევროს ღირებულების ტანსაცმელი მოიპარა.

ის პატიმრობაში დატოვეს, შვილი კი დედას, ასევე საქართველოს მოქალაქეს, დაუბრუნეს.



ისევ ერთად სწავლა სჯობს


ბიჭები გოგონების გარემოცვაში უკეთესად სწავლობენ.

სპეციალისტებმა 200 ათასი სხვადასხვა სკოლის მოსწავლის მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს: იმ სკოლებში, სადაც მოსწავლეთა 60 პროცენტზე მეტი გოგონებია, ბიჭების სწავლის დონე გაცილებით მაღალია.

გოგონებს ბიჭებზე დადებითი ზეგავლენის მოხდენა იმიტომ განპირობებულია, რომ გოგონებს ყურადღების კონცენტრირების უფრო მაღალი დონე აქვთ და წარმატებისადმი მეტი სწრაფვა ახასიათებთ.

დროულად რომ ვუხველოთ

თვითმკვლევრობისადმი მიდრეკილებას ამიერიდან კომპიუტერული პროგრამა დაადგენს.



ალგორითმი ფუნქციონალური მაგნიტორეზონანსული ტომოგრაფიის მონაცემებს გააანალიზებს და გაარკვევს, ტვინის (დეპრესიისა თუ ოპტიმიზმის) თუ რა უბნები აქვს პაციენტს გააქტივებული.

ტესტირებამ აჩვენა, რომ სუიციდისადმი მიდრეკილებას პროგრამა 94 პროცენტი სიზუსტით გამოიცნობს.

ინტერნეტიდან

სლაკების ეტრუიან

უზრუნველყავი

რუსი მოდელი ქსენია ჩუმინივა იმ დიაცთა შორისაა, რომლებიც სურვილებს არასოდეს მალავენ და ვერც კი წარმოუდგენიათ, თუ როგორ უნდა მოთოკონ საკუთარი ვნებანი. ეს ჩვენი ქსიუშა პარიზულ „პარი სენ შერმენში“ მოზურთალ ბრაზილიელ ნეიმარზე ყოფილა გულშეგარდნილი და მწვანე მინდორზე მუდმივად კოტრიალა ბრაზილიელს მასთან კოტრიალს სთავაზობს.



ქსენია ჩუმინივა

ამბობს, რომ ფეხბურთი დიდად არ აინტერესებს და რუსეთში ან უკვე გამართულ მუნდიალს მხოლოდ იმიტომ უყურა, რომ მის გარშემო ყველა ადამიანი ტელევიზორს იყო მიმჯდარი და სხვა გზა აღარ დაუტოვეს. ჰოდა, სწორედ მუნდიალის მიმდინარეობისას ჩავარდნია გულში ნეიმარი.

თვალსაზრისით მოდელი იძახის, რომ ფეხბურთის მოყვარულთათვის შეიძლება სულაც არ იყო საამო საცქერი მინდორზე მუდმივად გაშლარებული ნეიმარის ცქერა, მაგრამ პირადად მისთვის ეს ძალიან სექსუალური ქმედებები იყო. მას ერთი სული ჰქონდა, მისულიყო ბრაზილიელ ფეხბურთელთან და რამენაირად დახმარებოდა. „დახმარება“ კი იცოცხლეთ, კარგი ეცოდინება...

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 299-02-10
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ გომიაშვილი
 599 53-76-16;

ალეკო
ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომი“-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა „**კოლორ პრესში**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851

 9 772233 1385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთილი მასალები დანიშნავს ავტორთა სარგით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეჯენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“
შენი გაზეთია, აუსილებლად გამოიწერა, იყიდა, წაიკითხე!

	რედაქციის მისამართი: აპოლონი - 2.6184; პირი - 3.0798; ბრიტანული მიკროსტრუქტურა - 3.4445; 100 რუბლი - 3.9875; თურქული ლირა - 0.4273; აზერბაიჯანული მანათი - 1.5448; 1000 სომხური დრამი - 5.4414.	აქტიური 27 სექტემბრისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი +11, ლაპი +26 შიშანი რაიონები - ლაპი +7, ლაპი +26 დასავლეთი საქართველო: ბარა - ლაპი +13, ლაპი +27 შიშანი რაიონები - ლაპი +10, ლაპი +25 თბილისი: ლაპი +15, ლაპი +25	დაავიკაპით, მოგვწერეთ: ტელ: 299-02-10, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge